# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 11 მარტი, 2011 წელი.

№45 (6657)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




## „ჰომ-ოზისია“! 7

ვაი ჩვენს პატრონს, უბედურს!

## შეფიცულთა რაზმები მთელ საქართველოს მოედებიან

ვანოს პატრულის ალტერნატიულად სახალხო პატრული იქცევა?! 2





## სამხატვრო აკადემია იყო სიცოცხლის-უნარიანი სიყვარულის უშრეტი ძალა თბილისელი ახალგაზრდობისათვის და იყო ადგილი ხელოვნებასთან ზიარებისა 3

**ღია წერილი ბატონ გია ბუღაძეს**

ბატონო გია, თქვენი მოღვაწეობა სამხატვრო აკადემიის რექტორის თანამდებობაზე შეცდომა გამოდგა, ამდენი შეცდომის შემდეგ კიდევ შეცდომებისაკენ არ უნდა ილტვოდეთ და მხატვართა კავშირის თავმჯდომარეობის სურვილი არ უნდა გქონდეთ.



## ვიცოცხლებთ მომავალი წლის პირველ ნახევრამდე! 5

## ბაიდენი და მედვედევი ორი ქვეყნის ურთიერთობას ვარდისფერი სათვალით ხედავენ 2

## „მხოლოდ დროდადრო დამარეტიანოს“... 9



ლეგენდები და სინამდვილე ქვაშვეთის ტაძარზე

**ორი აზრი ერთ საკითხზე**

## ამერიკული თესლი – ქართული სიმინდი?! 6



ტექნოლოგია „ტერმინატორი“ და „ვერმინატორი“

## სოხუმი დათო შენგელიას „მშობლიურ ადგილებში“ დაბრუნებას და გავლენის აღდგენას ელის 3

„შენგელია, რომლის გავლენა არა მხოლოდ ზუგდიდის რაიონზე, არამედ წალენჯიხაზე და მთელს მოსაზღვრე რაიონებზე ვრცელდებოდა, სადაც მისი დაჯგუფება იყო ბაზირებული, მშობლიურ ადგილებში აუცილებლად დაბრუნდება“.

## რისთვის ადანაშაულებენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს? 4

ყოფილი თანამშრომელი გია გვაზავას უჩივის...

სამართალი მოდის

# შეფიცულთა რაზმები მთელ საქართველოს მოედებიან

## ვანოს პატრულის ალტერნატივად სახალხო პატრული იქცევა?!

***„ჩვენ ვასრულებთ დანაპირებს, რომელიც 25 ნოემბერს მივეცით საზოგადოებას. ხალხის იმედებს არ გავამტყუნებთ და ბრძოლას გამარჯვებით დავამთავრებთ. ჩვენი იარაღი სიმართლეა და ნურავის ექნება ილუზია, რომ მოგვიგებს. დიახ! ძალა ხალხშია. დიახ, სამართალი მოდის!“ — სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრის ნინო ბურჯანაძის ეს სიტყვები გუშინ ჭადრაკის სასახლის დარბაზში გაისმა, სადაც შეფიცულების პრეზენტაცია შედგა. ეს არის წარმომადგენლობითი სახალხო კრების ქომაგთა რაზმი, რომელმაც უსამართლოდ დევნილი და ჩაგრული ადამიანები უნდა დაიცვას. თბილისის შეფიცულთა რაზმს გია ბურჯანაძე უხელმძღვანელებს. ხოლო ამ სტრუქტურული ერთეულის წესდება იურისტმა ზაქარია ქუცნაშვილმა შეიმუშავა. რაზმი რამდენიმე მოხალისისგან შედგება, რომლებიც თბილისის სხვადასხვა უბანში იმუშავებენ და ასე ვთქვათ სახალხო პატრულის ფუნქციას შეასრულებენ. შეფიცულისათვის აკრძალულია საპოლიციო ფუნქციების მქონე ფორმირების შექმნა, სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული იარაღის შეძენა ან მისი გამოყენება. თუმცა უფლებებში უწერია, რომ შეუძლია გამოიყენოს აუცილებელი მოგერიების უფლება იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას თავიდან აიცილოს უკანონო ხელყოფა ან საშველად მიუხმოს სხვას. შეფიცულს უფლება აქვს შეიპყროს დამნაშავე ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად. გამოიყენოს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა, ასევე — მართლზომიერი რისკის უფლება.***



**გია ბურჯანაძის** თქმით, „ხელისუფლების თავნებობას ვაწყდებით ყველგან. საზოგადოება არ არის დაცული უსამართლობისგან, ამიტომ აუცილებელია დაცვა. 20 წელიწადი ვაშენეთ დამოუკიდებელი საქართველო, თითქოს ყველაფერი ავაშენეთ, მაგრამ ვერ შევქმენით დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძვლები, სამოქალაქო საზოგადოება“.

**ნონა გაფრინდაშვილიც** მიიჩნევს, რომ შეფიცულთა რაზმის შექმნა მნიშვნელოვანი მოვლენაა: ჩვენ დუმილს შევეჩვიეთ, ერთმანეთს გვერდში არ დავუდექით, სწორედ ამიტომ გახდა ხელისუფლება ძალადობრივი. ამდენად ძალიან საჭირო და აუცილებელია ის, რასაც დღეს ვაკეთებთ“.

„შეფიცულების რაზმი — ეს არის სახალხო წარმომადგენლობითი კრების სტრუქტურული ერთეული, რომელმაც უნდა აღასრულოს საბოლოოდ ამ ხელისუფლების დემონტაჟი, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში სახალხო კრების თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **გიორგი კობახიძემ,** — ხელისუფლება უამრავ უკანონო და ძალადობრივ გზას ახორციელებს იმ ადამიანის წინაშე, რომელიც სამართლიან მოთხოვნებს აყენებს. ლაპარაკია არა მარტო მოქალაქეთა ფიზიკურ დაზიანებაზე, არამედ სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნაზე, მუქარაზე, არასამართლიან ბრძანებებზე, დაშინებაზე და ა. შ. შეფიცულთა რაზმის შექმნის აუცილებლობა სწორედ იმან გამოიწვია, რომ იმათ, ვისაც უნდათ ხმამაღლა გამოხატონ თავიანთი პოზიცია, ამის არ ეშინოდეთ. ჰქონდეთ დაცულობის განცდა, რომ მათ ვიღაც გამოექომაგება და არავის მისცემს ადამიანის ღირსების შელახვის უფლებას.

**— ეს იქნება, ასე ვთქვათ, ათლეტური აღნაგობის ქომაგთა რაზმი, თუ ისინი მხოლოდ იურიდიული უფლებებით აღიჭურვებიან?**

— ეს იქნება ადამიანთა ჯგუფი, რომელიც დაიცავს ნებისმიერ მოქალაქეს უკანონო ხელყოფისგან. ასე ვთქვათ „სახალხო პატრული“, რომელიც დღის ნებისმიერ მონაკვეთში უსამართლობას დაუპირისპირდება და დაზარალებულის გვერდით დადგება. რა თქმა უნდა, მას აქვს წესდებით განსაზღვრული ფუნქციები.

**— რით შეიძლება ამ ქომაგების ამოცნობა?**

— მათ ექნებათ განმასხვავებელი სამკერდე ნიშნები და პირადობის დამადასტურებელი მოწმობები.

**— იარაღის ტარება შეუძლიათ?**

— არა, ეკრძალებათ. ისინი ცარიელი ხელებით იბრძოლებენ უსამართლობის წინააღმდეგ.

**— ბატონო გიორგი, სხვათა შორის სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობასაც მსგავსი პროექტი აქვს. ვერ გეტყვით, რამდენად ახერხებენ ამის აღსრულებას, მაგრამ იდეა ერთმანეთის იდენტურია.**

— ექსკლუზიური იდეა არ არსებობს, მსგავსი შეიძლება ბევრს აქვს, თუმცა ჩვენი ორგანიზაცია დანარჩენისგან იმით განსხვავდება, რომ წარმომადგენლობითია. ანუ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას ზურგს უმაგრებს ასიათასობით ადამიანის ხელმოწერა. ეს არის სწორედ მნიშვნელოვანი, თორემ თავად სახალხო კრებაც არ არის ჩვენი ექსკლუზიური იდეა, მთავარია განხორციელება.

**— ხომ არ გამოიწვევს ქომაგის ინსტიტუტის შექმნა დაპირისპირებას, ქაოსს, უარესად გამწვავებულ ვითარებას, დესტაბილიზაციას. რამდენად მშვიდობიანი ფორმა ექნება ასეთ ბრძოლას?**

— დესტაბილიზაცია სწორედ ხელისუფლებისგან მოდის და ეს ყველაფერი იქითკენ იქნება მიმართული, რომ ხალხმა გაუძლოს. „სახალხო კრება“ — ეს არის პირდაპირი დაპირისპირება ხელისუფლებასთან, რაც ჩვენ არაერთხელ ღიად განვაცხადეთ. ჩვენ კონფლიქტში არავისთან არ შევდივართ. პირიქით, ვეხმარებით დაზარალებულ ადამიანს. მაგალითად, როცა ამას წინათ ვეტერანებს სასტიკად გაუსწორდა ხელისუფლება, არავინ აღმოჩნდა მათი ქომაგი, მათი დამცველი. შეფიცულთა რაზმი მაშინ რომ არსებულიყო, ასეთი სიმძაფრე ამ აქციაზე არ მოხდებოდა.

**— ვინ დააფინანსებს შეფიცულებს?**

— ისინი მოხალისეები არიან. სამკერდე ნიშნების ხარჯებს თუ არ ჩავთვლით, სხვა არავითარი დანახარჯი არ იქნება. ყველა რაიონში, ჩვენს ოფისებში მუდმივად იმუშავებს ცხელი ხაზი, სადღეღამისო მორიგეთა ჯგუფი და ყოველ კანონდარღვევაზე სწრაფად მოახდენენ რეაგირებას.



**...გუშინ შეფიცულებმა ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ დადეს ფიცი: „არასოდეს გადავუხვევ არჩეულ გზას, არ ვუღალატებ ჩემს თანამოაზრეებს და ვიბრძოლებ მანამ, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში სამართალი არ გაიმარჯვებს. ვფიცავ!“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეებმა შეფიცულთა დროშა — ბოლნური ჯვრით დიდი პატივით მიიღეს... სახალხო კრების მოქმედების კიდევ ერთი ეტაპი შედგა. ახლა წინ არის უმთავრესი — სახალხო დაუმორჩილებლობის დღის დანიშვნა!**

**„ჩვენ წავალთ არჩევნებზე, მაგრამ მანამდე წავა ეს ხელისუფლება“, — ირწმუნება ნინო ბურჯანაძე.**

**ნია ფიფია**

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია

# ბაიდენი და მედვედევი ორი ქვეყნის ურთიერთობას ვარდისფერი სათვალით ხედავენ

**რუსული მედიის ინფორმაციით, საუბრის ძირითადი თემა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრება და ორმხრივი ურთიერთობების საკითხი იყო. როგორც თავად ბაიდენმა მედვედევთან შეხვედრისას განაცხადა, შეერთებული შტატები მხარს უჭერს რუსეთის მიერ არჩეულ ცვლილებების გზას, რომელიც მას მოდერნიზაციამდე მიიყვანს.**

— ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მე აქ ვარ, არის ის პრეზიდენტ ობამას სურვილი, დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ განვაგრძობთ ეკონომიკურ ფრონტზე დაწყებულ პროგრესს. გრძელდება ეკონომიკური თანამშრომლობა. ჩვენ ასევე მხარს ვუჭერთ რუსეთის ცვლილებების გზას, რომელიც მოდერნიზაციამდე მიგვიყვანს. გვსურს, რომ ამ პროცესის ნაწილი ჩვენც ვიყოთ, — აღნიშნა ბაიდენმა მედვედევთან შეხვედრისას.

რაც შეეხება თავად რუსეთის პირველ პირს, მისი თქმით, აშშ-რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების დონე ერთმანეთისგან განსხვავდება, რაც სწორედ იმის ბრალია, რომ რუსეთი ვმო-ს წევრი არაა.

— ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობების დონე განსხვავდება პოლიტიკურისგან, რაც იმის ბრალია, რომ რუსეთი არ არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი. იმედი მაქვს ამ საქმესთან დაკავშირებით პროცესი შეერთებული შტატების მხარდაჭერით დასრულდება. ჩვენ გვაქვს მსხვილი ეკონომიკური პროექტები, რომლებიც ერთად უნდა განვახორციელოთ, — აღნიშნა მედვედევმა.



სირცხვილი!

# სამთავრობო დელეგაციის თანხმლები პირი ქურდობისთვის დააკავეს

**უცხოური მედიის ინფორმაციით, ნიუ-იორკში ქურდობისთვის საქართველოს სამთავრობო დელეგაციის თანხმლები პირი დააკავეს.**

**როგორც „ნიუ-იორკ ვები“ წერს, დიპლომატიური ხელშეუხებლობით მოსარგებლე ოლეგ შარიფოვის აყვანა 6 მარტს, მაღაზიაში ქურდობის ფაქტზე მოხდა.**

მისივე ინფორმაციით, 33 წლის შარიფოვმა, რომელიც საქართველოს სამთავრობო დელეგაციის თანმხლები პირი იყო, მაღაზიაში 443 დოლარისა და 62 ცენტის ღირებულების ნივთები მოიპარა.

— პოლიცია დაუკავშირდა სახელმწიფო დეპარტამენტს, სადაც მას დაუდასტურეს, რომ შარიფოვი სარგებლობდა სრული დიპლომატიური ხელშეუხებლობით, რის გამოც მისი დაკავება ანულირებული იქნა, ბრალი კი მოხსნილი, პიროვნება მისიის წარმომადგენლებს გადაეცათ, — წერს გამოცემა.

„ნიუ-იორკ ვების“ ცნობით, ვაშინგტონში საქართველოს საელჩომ უკვე დაადასტურა, რომ ოლეგ შარიფოვი ნამდვილად საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ნიუ-იორკში დაკავებული ოლეგ შარიფოვი დიპლომატიურ საქმიანობას არ ეწევა.

— ის დიპლომატი არ არის. შესაბამისად, შარიფოვს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არანაირი კავშირი არ აქვს. დანარჩენი სამართალდამცავი უწყებების პრეროგატივაა, — განაცხადეს საგარეო უწყების პრესსამსახურში.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# სამხატვრო აკადემია იყო სიცოცხლისუნარიანი სიყვარულის შუქურა თბილისელი ახალგაზრდობისათვის და იყო ადგილი ხელოვნებასთან ზიარებისა

## ღია წერილი ბატონ გია ბუღაძეს



**ბატონო გია, გულწრფელად გეტყვით, არ მსურდა ამ წერილის დაწერა, ამ ბოლო დროს კომენტარების გაკეთებასაც კი ვერიდები, მიზეზთა გამო, მაგრამ აუცილებლობამ დამაწერინა. ვწერ იმისათვის, რომ მომავალმა თაობებმა აუგად არ მოგვიხსენიონ, როგორც გულდედალი წინაპრები და არ დაგვწამონ ქართული ხელოვნების მომავლისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება.**

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ გია ბუღაძე დათანხმდა მხატვართა კავშირის თავმჯდომარეობას, რაც ჩემს გაოცებას იწვევს. მე თქვენ ჭაბუკი გაგიცანით და ყოველთვის გთვლიდით ნიჭიერ, მომავლის მქონე მხატვრად. როცა სამხატვრო აკადემიის რექტორი გახდით, გამიხარდა კიდეც, რადგან სურვილი მქონდა, აკადემიას დაბრუნებოდა ის სახე, სადაც ჭეშმარიტი ხელოვნების არსი ყალიბდებოდა, სადაც მრავალი მრავალფეროვანი გამოფენა ეწყობოდა, იყო საღამოები, შეხვედრები გამორჩენილ ადამიანებთან. თეატრალური ინსტიტუტისა და კონსერვატორიის სტუდენტები მართავდნენ კონცერტებს, აქ მოდიოდნენ უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. სამხატვრო აკადემია იყო სიცოცხლისუნარიანი სიყვარულის შუქურა თბილისელი ახალგაზრდობისათვის და იყო ადგილი ხელოვნებასთან ზიარებისა (ეს მაშინ, იმ ავად სახსენებელ საბჭოთა კავშირის დროს ხდებოდა, როცა ყველაფერი იკრძალებოდაძ.

და ეს ყველაფერი, აკადემიისათვის დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი, ბოლო პერიოდში დაკარგული იყო. სწორედ თქვენმა გამოჩენამ მომცა იმის იმედი, რომ სამხატვრო აკადემია გახდებოდა სათავე, ჭეშმარიტი კერა ქართული თანამედროვე სახვითი ხელოვნებისა, მაგრამ, საუბედუროდ, თქვენი რექტორად მოსვლის დღიდან სამსახურიდან დათხოვილი იქნენ ცნობილი მხატვარი-პედაგოგები, რომელთა ღვაწლი უზომოა; დათხოვილი იყვნენ ასაკოვანი პედაგოგებიც, მაშინ როცა, თქვენ კარგად იცით, რომ ხელოვნება სპორტი არაა, ასაკს რომ მნიშვნელობა ჰქონდეს. მოგეხსენებათ, ასაკოვანი პიკასო ახალგაზრდული ენერგიით და ვნებით ქმნიდა შედევრებს. თქვენ კარგად იცით, რომ ბატონები: მოსე თოიძე, იაკობ ნიკოლაძე, ნიკოლოზ კანდელაკი საკმაოდ ხანდაზმულები იყვნენ, როდესაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ. ისიც კარგად მოგეხსენებათ, მათი აღზრდილები სახელოვანი მხატვრები იყვნენ და არიან. გარდა ამისა, ასაკოვანმა პედაგოგებმა საკუთარი შემოქმედება დაგვიტოვეს შედევრების სახით და ამასთან ერთად დაგვიტოვეს ბრწყინვალე სკოლა პლასტიკური ხელოვნებისა, და როგორც ვიცი, თქვენ ამ სკოლის პირმშო ბრძანდებით. მიკვირს ის, რომ სამხატვრო აკადემია გადაიქცა ქარაფშუტულ სასწავლებლად, სადაც უთვალავი გამოფენა ეწყობა, სხვადასხვა სახისა და ფორმის, მაგრამ მათი განხილვისას ნაწარმოებების მხატვრული ღირებულების მნიშვნელობა უგულებელყოფილია, შეფასების მთავარ კრიტერიუმად ითვლება სიახლის ხილვა, თუგინდ ნაწარმოების მხატვრული მხარე მდარე იყოს. ცნობილია, ყოველი ეპოქა თავის საკუთარ ხელოვნებას გვიტოვებს. ბუნებრივია, თანამედროვეობა ადეკვატურ ხელოვნებას ითხოვს, მაგრამ მისი წარმოჩენა წარსულის უარყოფით დიდი შეცდომაა, რადგან წარსულის ცოდნა მყარი საფუძველია ახლის შენებისა.

ბატონო გია, კონცეპტუალური აზროვნება ხელოვნებაში არახალია და სიახლის ნიშნით სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა, გოგონებმა და ვაჟებმა, გამეტებით აფურთხეს ერთმანეთს! ეს სიბილწეა, რომელსაც შეუძლია, ახალგაზრდობის სულიერებას ავნოს, რადგან ახალგაზრდობა გაზაფხულივით მშვენიერია და ადამიანს სიცოცხლის მანძილზე ერთხელ ახლავს იგი. არა გვაქვს უფლება, დავუნაგვიანოთ სულიერება და მოვუსპოთ მშვენიერებისადმი სიყვარული. ბოლოს და ბოლოს საქართველო წმინდა ნინოსა და წმინდა ქეთევან წამებულის ქვეყანაა. დარწმუნებული ვარ, თქვენი მოწაფენი პატივს გცემენ და უყვარხართ თქვენი ნიჭისა და პედაგოგობის გამო, და იმის გამო, რომ თქვენ მათ ხელოვნების მაღალ იდეალებზე ესაუბრებით; და თუ ფურთხებას თანაუგრძნობთ, ეს თქვენი თავდაცვის საშუალებაა, შიში, რათა არ დაგდონ ბრალი სიახლის არცოდნაში და ჩამორჩენილობაში.

შეცდომაა ისიც, როცა სამხატვრო აკადემიაში ამა თუ იმ კონკურსის დროს განიხილავთ შესარჩევ ქანდაკებას და თქვენ შორის არ დგანან სპეციალისტები. ამ დროს, თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ ქანდაკებაზე საუბარი მისი სპეციფიკური ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელია, ამიტომ ასეთი ღონისძიებების დროს შერჩევას და გადაწყვეტილებას თქვენი აზრი კი არ უნდა წყვეტდეს, როგორც აკადემიის რექტორის, არამედ სპეციალისტების, მოქანდაკეთა და ხელოვნებათმცოდნეთა აზრი. იმედია, ჩემს გულისწყრომას არ აღიქვამთ ისე, თითქოს მე მელაპარაკებდეს სამუშაოს შოვნის ან ძეგლთა დადგმის სურვილი; მოგეხსენებათ, მე საკმაოდ ვიშრომე და თუ ამ თემას ვეხები, მხოლოდ სინანული მალაპარაკებს, სინანული ყოველი თქვენი შეცდომისა გამო. შეცდომაა ისიც, რომ სტუდენტებს შთააგონეს, რკინაბეტონის კედლებზე ხატვა ხელოვნებააო; ასე მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მთელს საბჭოთა კავშირში ახატვინებდნენ ბავშვებს ასფალტზე, კედლებზე ვარსკვლავიან ტანკებს, გამარჯვებულ წითელ არმიას, დროშებსა და მზეს.

თქვენ კარგად იცით, რომ ხელოვნება არაა პროპაგანდის მსახური და რატომ იმეორებთ ავად სახსენებელ წარსულს, გაუგებარია. ბატონო გია, თქვენ ტელევიზიის ეკრანიდან ხშირად საუბრობთ სხვადასხვა თემებზე, სხვადასხვა დარგებსა და მათ მნიშვნელობაზე და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, ეს მისასალმებელი საქმეა, მაგრამ ერთხელ არ წამოგცდენიათ წუხილი იმაზე, თუ როგორ შენდება ტორტებივით სახლები და ქალაქები საქართველოში, რომ ეს არ არის თანამედროვე არქიტექტურა, არ დაგცდენიათ ერთი სიტყვა იმაზე, რომ ქართველი არქიტექტორები უცხოეთში გამოცხადებულ კონკურსებს იგებდნენ, ხოლო აქ, მათ მშობლიურ ქვეყანაში, უცხოელები აშენებენ. არ გამოგითქვამთ წუხილი იმის გამო, რომ ქალაქები წალეკა მდარე, უსახურმა ქანდაკებებმა, მაშინ როდესაც ჩვენი მოქანდაკენი უცხოეთში სიმპოზიუმებზე მონაწილეობდნენ და ოქროსა და ვერცხლის მედლებით გვიბრუნდებოდნენ. ჩვენ გვყავს ახალგაზრდა მოქანდაკეები, რომელთა ნიჭიერება წყლის კასკადივით მოედინება, რისი შეჩერებაც დანაშაულია. თქვენ არ გამოგითქვამთ წუხილი, თუ რატომ დაინგრა ბრწყინვალე ძეგლი – ვახტანგ ონიანის „ამირანი“, თქვენ დუმილით ხვდებით საბჭოთა ნიშნით ძეგლების ნგრევას (არ ვგულისხმობ სტალინის ძეგლსძ, როცა ძალიან კარგად იცით და ხედავთ, რომ მათში საბჭოური არაფერია; ამაზე საუბრის უფლებას ტელეეკრანი გაძლევთ და თქვენი თანამდებობიდან გამომდინარე სასურველი ვალდებულება. ამ დროს თქვენ საუბრობთ ადამიანის ჯანმრთელობაზე და ქართული ფარმაცევტიკის მიღწევებზე, რაც რბილად რომ ვთქვათ, ღიმილის მომგვრელია.

ბატონო გია, მინდა გაგახსენოთ, რომ შემოქმედი, მიმნდობი საწუთროსი, თავის ხელოვნებას თმობს, კარგავს. ამიტომ, თქვენ ნიჭიერი მხატვარი ხართ და მინდა ვიწამო, რომ განერიდებით იმ სიყალბეს, ასე მძაფრად რომ შემოჭრილა თქვენში. თქვენი მოღვაწეობა სამხატვრო აკადემიის რექტორის თანამდებობაზე შეცდომა გამოდგა, ამდენი შეცდომის შემდეგ კიდევ შეცდომებისაკენ არ უნდა ილტვოდეთ და მხატვართა კავშირის თავმჯდომარეობის სურვილი არ უნდა გქონდეთ. თქვენ კარგი მხატვარი ხართ, ორგანიზატორი – სუსტი. დაინახეთ და ირწმუნეთ თქვენ გვერდში მდგომ ხელოვანთა აზრი. ძალიან ბევრი მხატვარი და მოქანდაკე ვიცი, რომლებიც თმენით შემოგცქერიან, დათა თუთაშხიასი არ იყოს, დიდი უპირატესობა აქვთ და მათთან შებმა წამგებიანი იქნება თქვენთვის. დაუკვირდით, ჩაუღრმავდით საკუთარ თავს. სხვა კი არ უნდა გაძლევდეთ თავისუფლებას და თავისუფალი ქმედების საშუალებას, რაც დროებითი და ყალბია. თავისუფლება საკუთარ თავში და სულიერებაში უნდა ჰპოვოთ, მაშინ შეძლებთ ჭეშმარიტების შეცნობას და ბედნიერების შეგრძნებას, თქვენ ღმერთმა მოგცათ ნიჭი, ხელოვნება, და დაე „საქმემან შენმან წარმოგაჩინოს შენ.“

პატივისცემით
მერაბ ბერძენიშვილი.

---

◎ „ტყის ძმები“

# სოხუმი დათო შენგელიას „მშობლიურ ადგილებში“ დაბრუნებას და გავლენის აღდგენას ელის

**როგორც „ეხო კავკაზას“ სოხუმელი მიმომხილველი მიიჩნევს, თუ „ტყის ძმების“ ლიდერი დათო შენგელია პატიმრობიდან გათავისუფლდა, იგი აუცილებლად დაბრუნდება მშობლიურ ადგილებში და შესაძლოა, ამ რეგიონში საკუთარი გავლენის აღდგენას ცოტათი მაინც შეეცადოს, თუმცა თუ ეს გავლენა ოფიციალური თბილისის ინტერესებთან შესაბამისობაში არ მოვა, მაშინ შენგელიას არანაირი პერსპექტივა არ აქვს, პროცესის მოთამაშე გახდეს და მას კვლავ პატიმრობა ელის“.**

იგი იხსენებს, რომ **„დათო შენგელია 1990-იანი წლების საკმაოდ ცნობილი ფიგურა იყო და ჯგუფმა, რომელსაც ის ხელმძღვანელობ-**



**და, გალის რაიონში ძალიან ბევრი ცუდი საქმე გააკეთა, კერძოდ, სულ მცირე, რამდენიმე ათეული რუსი მშვიდობისმყოფელის, მშვიდობიანი მოქალაქის, სამართალდამცველის სიკვდილი სწორედ მისი დანაყოფის ანგარიშზეა“.**

ამასთან, მიმომხილველის მონაცემებით, „აფხაზეთში დოკუმენტურ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაცია არსებობს, რომ ეს ჯგუფი კონტროლირებადი იყო და ბევრი მისი მონაწილე, მათ შორის თავად შენგელიაც ე.წ. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის“ სპეცდანაყოფებში მსახურობდა შესაბამისი ანაზღაურებით“.

მისივე მტკიცებით, „პოლიტიკურ მიზნებთან ერთად, დავით შენგელია აფხაზეთში რეკეტით იყო დაკავებული“.

**„ეს იყო კრიმინალური დაჯგუფება, რომელიც ფაქტობრივად მთელს გალის რაიონს აკონტროლებდა და თითოეული ასი კილოგრამი ციტრუსიდან ან თხილიდან გარკვეული ნაწილი აუცილებლად ამ ჯგუფის „აქტივში“ მიდიოდა. გარდა ამისა, ჯგუფი აქტიურად აკონტროლებდა ყველა გზას, რომელიც საქართველო-აფხაზეთს აკავშირებდა და ფაქტობრივად, საბაჟო კონტროლის ფუნქციას ასრულებდა. ჯგუფის საქმიანობის შეჩერება უკვე სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდიდან დაიწყო, თუმცა პრინციპში, სააკაშვილის გარეშეც გასაგები იყო, რომ შენგელიას და „ტყის ძმების“ სამომავლო საქმიანობას პერსპექტივა არ ჰქონდა. საქმე ის არის, რომ პუტინის დროის რუსეთი შესამჩნევად განსხვავდება ელცინის დროინდელისგან, როდესაც შენგელიას შეეძლო, ამაყად აეღო პასუხისმგებლობა ამა თუ იმ დანაშაულზე, მაგალითად, რუსი სამშვიდობოების მკვლელობაზე. პუტინისეული რუსეთი ამის პატიებას უკვე ვეღარ შეძლებდა და ბუნებრივია, დათო შენგელიას ეპოქამ დასრულება დაიწყო. ოფიციალური თბილისი კი მიხეილ სააკაშვილის სახით მიხვდა, რომ მსგავსმა მოთამაშეებმა თავისი თავი ამოწურეს და მოქმედება უნდა შეწყვიტონ. გაქრა არა მხოლოდ დათო შენგელია და „ტყის ძმები“, არამედ „თეთრი ლეგიონი“ და მისი ლიდერი ზურაბ სამუშიაც“,** – წერს აფხაზი მიმომხილველი.

მიუხედავად იმისა, რომ პუტინის ეპოქა ჯერ კიდევ გრძელდება, იგი ვარაუდობს, რომ **„შენგელია, რომლის გავლენა არა მხოლოდ ზუგდიდის რაიონზე, არამედ წალენჯიხაზე და მთელს მოსაზღვრე რაიონებზე ვრცელდებოდა, სადაც მისი დაჯგუფება იყო ბაზირებული, მშობლიურ ადგილებში აუცილებლად დაბრუნდება“.**

მაკა ბრეგვაძე
პირველი

---

◎ ინფორმაცია



## ქართველი ტყვეები ლიბიიდან გაიქცნენ

**საქართველოს მოქალაქეებმა ცხელი წერტილიდან გაქცევა გემით, ქალაქ მისურატას დაბომბვისას შესძლეს. ამ დროისთვის ხუთივე მოქალაქე მალტაში იმყოფება.**

**აღნიშნულის თაობაზე მეზღვაურებმა საქართველოში მყოფ ოჯახის წევრებს მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით თავად გააგებინეს. მათივე ინფორმაციით, ხომალდს, რომლითაც მათ ლიბიის დატოვება შესძლეს, ტექნიკური პრობლემები შეექმნა, რის გამოც გადაადგილებას ვეღარ ახერხებდნენ.**

**შეგახსენებთ, რომ ქართველი მეზღვაურები ლიბიაში ტყვეობაში უკვე ერთ წელზე მეტი იმყოფებოდნენ.**

ჯი-ეიჩ-ენი

**დაპირისპირება**

# რისთვის ადანაშაულებენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს?

## ყოფილი თანამშრომელი გია გვაზავას უჩივის...

***აფხაზეთის** ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში თითქმის სამი თვის განმავლობაში იმუშავა კონტროლის პალატამ და თებერვლის დასაწყისში აუდიტის აქტიც წარმოადგინა, რომელშიც რამდენიმე სერიოზული შენიშვნა მოხვდა. კერძოდ, „უმაღლესი საბჭოს აპარატს, 2009 წლის განმავლობაში, მონეტარული ზღვრებიდან გამომდინარე, ავტომანქანებისთვის საჭირო ბენზინის და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისთვის განკუთვნილი ავტომანქანის შეძენა ფასთა კოტირების წესით არ განუხორციელებია. აღნიშნული შესყიდვები განხორციელდა ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით“.*

*აუდიტის დასკვნაში მოხვდა სამივლინებო ხარჯები, რომელიც რიგ შემთხვევაში მომსახურებაზე ზედმეტად ანაზღაურებულია. ან პირიქით, სრულად არ არის ანაზღაურებული და ა.შ. და ა.შ. მოკლედ, საქმე ეხება საბიუჯეტო თანხების არარაციონალურ გამოყენებას, გაფლანგვას.*

*უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ელგუჯა (გია) გვაზავამ შუალედური დასკვნის მიღებისთანავე სამსახურიდან დაითხოვა აპარატის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი ზურაბ ზარანდია. ეს უკანასკნელი მიიჩნევს, რომ უსაფუძვლოდ არის გათავისუფლებული და, ასე ვთქვათ, „ბავშვი ნაბან წყალს გადააყოლეს“. მეტიც, ის თავის მხრივ ჯერ კიდევ კონტროლის პალატის შემოსვლამდე ბრალდებებს უყენებდა თავად უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს. ის ჩვენთან საუბარში იმ ფაქტებზე ჰყვება, რომელიც კონტროლის პალატის აუდიტის ჯგუფის თვალსაწიერში არ მოხვდა.*

*გთავაზობთ ინტერვიუს **ზურაბ ზარანდიასთან**.*

— გია გვაზავამ 7 თებერვალს სამსახურიდან გამათავისუფლა. 8 თებერვალს შეიკრიბნენ პრეზიდიუმისა და უმაღლესი საბჭოს წევრები, სესიაზე 17-ვე წევრმა ერთხმად, ოღონდ ამაოდ, სთხოვა ბატონ გვაზავას, შეეჩერებინა განკარგულება ჩემი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

**— რა იყო თქვენი სამსახურიდან დათხოვნის მოტივი?**

— კონტროლის პალატის აუდიტის შუალედური დასკვნა. მიზეზი იყო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა. ეს შუალედური აქტი სეიფში ჩაიკეტა, არადა უნდა განგვეხილა, ასევე ჩვენი შენიშვნები წარმოგვედგინა, რაშიც მონაწილეობა უნდა მიმეღო, როგორც აპარატის სამეურნეო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს. აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში პირველად აქტზე შენიშვნები მომზადდა და 3 თებერვალს, საღამოს კონტროლის პალატას გადაეგზავნა. რაკილა, ამ შენიშვნებში ჩემს მიერ წარმოდგენილი მამხილებელი საბუთები არ იყო გათვალისწინებული, იძულებული გავხდი 4 თებერვალს, დილით, კონტროლის პალატაში პირადად ჩამებარებინა განცხადება.

**— რა ახალ გარემოებებზე საუბრობთ? თუ აუდიტის აქტს მოვიშველიებთ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მანქანის შესასყიდად შეიქმნა „სატენდერო კომისია“, სადაც თქვენც ბრძანდებით ერთ-ერთი წევრი. თითქოს ფასთა კოტირებაში მონაწილეობის მისაღებად წერილობითი მოწვევები გაუგზავნეთ ოთხ პირს, თუმცა რეალურად ასე არ მომხდარა და ერთ პირთან ხელშეკრულების საფუძველზე შეისყიდეს 32000 ლარის ღირებულების ავტომანქანა, რომელიც დღეს უკვე ამორტიზებულია. თქვენ რა არგუმენტები გაქვთ?**

— ყველა ჩემი წერილი უმაღლესი საბჭოს კანცელარიაშია რეგისტრირებული. სანამ კონტროლის პალატა შემოწმებას დაიწყებდა, ჯერ კიდევ 2010 წლის ზაფხულიდან ვამტკიცებდი, რომ ავტომანქანა არასწორი გზით იყო შესყიდული. არავითარი ტენდერი არ გამოცხადებულა, თვითონ გვაზავამ მოიყვანა ავტომანქანა „სუბარუ“ და ფაქტის წინაშე დაგვაყენა. ვთხოვე კონტროლის პალატის ჯგუფს მუშაობის პერიოდში, კანცელარიიდან გამოეთხოვათ ჩემი გაგზავნილი წერილები პრეზიდიუმის წევრების, აპარატის უფროსის, უმაღლესი საბჭოს დეპუტატების სახელზე. ეს იყო გასული წლის 9 აგვისტოს, 21 სექტემბერს, ამა წლის 24 იანვარს, 4 თებერვალს. და 18 თებერვალს უკვე კონტროლის პალატის სახელზეც დავწერე განცხადება.

**— კონკრეტულად რაში სდებთ ბრალს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს?**

— გვაზავამ თითქოს ვინმე ქოქაშვილისგან შეიძინა მანქანა „სუბარუ“, თანაც საეჭვო გარიგებით, რეალურ ღირებულებაზე მეტი ფასით. თანაც მანქანის შესაძენად ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 28 ათასი ლარი. მან კი 32 ათასლარიანი მანქანა შეიძინა. 3 ათას 355 ლარი ოფისის სარემონტო თანხას მოაკლო და დანაკლისი ასე შეავსო. სულ რამდენიმე დღის წინათ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მონაცემები მივიღე, საიდანაც დასტურდება, რომ მან ძმის სახელზე გაფორმებული თავისივე მანქანა, რომელსაც მუდმივად თავისი შვილი მართავდა, შეიძინა სახელმწიფო ხარჯით. ხოლო ქოქაშვილზე სულ რაღაც სამი თვით იყო მანქანა გაფორმებული და მაშინაც კვლავ მისი შვილი მართავდა. ქოქაშვილთან თავად დადო ხელშეკრულება და რეალურად ტენდერი არ გამოცხადებულა. მე ხელშეკრულების დადების ფუნქცია და უფლება არა მქონდა, რადგან აპარატში შემავალი დეპარტამენტის უფროსი ვიყავი, შესაბამისად, არც გადარიცხვებს ვაკეთებდი. მე იმ საქონლით უზრუნველვყოფდი საბჭოს, რაზეც უკვე იყო დადებული ხელშეკრულება. თავმჯდომარე და აპარატის უფროსი თავად აწერდნენ ხელს. ავტომანქანის შერჩევასთან დაკავშირებით აპარატის უფროსმა ოთარ ჩარკვიანმა შეადგინა ოქმი და გვაზავას დაჟინებული მოთხოვნით, იძულებული გავხდით, მოგვეწერა ხელი.

თუკი ტენდერი გამოცხადდებოდა, ის უნდა ყოფილიყო ფარული და არა ხელშეკრულებით — პირდაპირი გზით შესყიდული. მით უმეტეს, კანონი კრძალავს ნათესავისგან ნივთის შეძენას. ჩვენ მაშინ ვიყიდეთ სამი მანქანა, რომელთა ღირებულება ჯამში 52 ათას ლარს აღემატებოდა. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი იყო ფასთა კოტირებით მანქანების შესყიდვა. უნდა შეგვესწავლა ბაზარი, სად შეიძლებოდა იაფად შეძენა, მაგრამ გვაზავას იაფად არ უნდოდა შეძენა, პირიქით, მას ერჩივნა, რაც შეიძლება მეტი გადაეხადა ბიუჯეტიდან, მით უფრო, რომ ეს ფული მან პირდაპირ ჯიბეში ჩაიდო. ამის გამო არაერთხელ მივმართე პრეზიდიუმის წევრებს განცხადებით. თუმცა, როგორც ხედავთ, უშედეგოდ, არადა დაჟინებით ვითხოვდი ამ ფაქტების შესწავლას. წარმოიდგინეთ, რომ მანქანა „სუბარუ“, რომელშიც 19,200 დოლარი გადავიხადეთ, ერთ თვეში სარემონტო გახდა, ბიუჯეტი უკვე ათვისებული იყო და ფიზიკურად არ დარჩა თანხა რემონტისთვის. გვაზავამ აპარატის თანამშრომლებს მივლინების თანხები გამოუწერა, შემდეგ უკანვე მოითხოვა ეს ფული, აკრიფა და გვითხრა, მანქანის რემონტის თანხა გაისტუმრეთო, ამაზეც კატეგორიული უარი განვაცხადე. დღეს ეს მანქანა ამორტიზებულია და დგას.

რა თქმა უნდა, მანქანა თავიდანვე არ იყო იდეალურ მდგომარეობაში, არ აღმოჩნდა ისეთი კარგი კონდიციისა, როგორც აუდიტში ეწერა და სულ მალე ისეთი ნაწილი გახდა გამოსაცვლელი, რომელიც 700 დოლარი ღირდა. ეს თანხა ვერ გადავიხადეთ და დაყენებული ნაწილი ერთ კვირაში უკანვე დავაბრუნეთ. და საერთოდ, თუკი რამე ნივთი იყო შესასყიდი, დაწყებული დანა-ჩანგლიდან, დამთავრებული სხვა ინვენტარით, პირადად უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მიდიოდა მაღაზიებში, უთანხმდებოდა გამყიდველებს და ამის შემდეგ გვიშვებდა ჩვენ სათანადო დოკუმენტების გასაფორმებლად და შეძენილი საქონლის მოსატანად, უმეტეს შემთხვევაში შესყიდვები ხორციელდებოდა მისი ახლობლებისაგან. ყოველივე ეს ვაცნობე პრეზიდიუმს და ვითხოვე სათანადო რეაგირება.

**— რა რეაქცია მოჰყვა ამ ყოველივეს თავად საბჭოში?**

— რა თქმა უნდა, იყო გამოხმაურება. მაგალითად, პრეზიდიუმის წევრმა ჯემალ გამახარიამ 17 სექტემბერსვე ოფიციალურად მიმართა საბჭოს და მოითხოვა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა. პრეზიდიუმის ყველა წევრმა მოაწერა ხელი კომისიის შექმნის მოთხოვნას, თუმცა დღემდე ასეთი კომისია არ შექმნილა.

**— კიდევ რაში გადანაშაულებთ ბატონი გია გვაზავა?**

— მინერალური წყლების შესყიდვასთან დაკავშირებით. ეს შენიშვნა კონტროლის პალატის აქტშიც მოხვდა. თითქოს წყლები გაბერილ ფასად და დიდი რაოდენობით არის შეძენილი. მაგრამ მე ჯერ კიდევ გასული წლის 15 ნოემბერს დავწერე სამსახურებრივი ბარათი აპარატის უფროსის ოთარ ჩარკვიანის სახელზე, სადაც ვწერდი: „გასული წლის აგვისტოდან წლის ბოლომდე თითქოს შეძენილი იქნა უალკოჰოლო სასმელები, ყავა, ჩაი, შაქარი და სხვა პროდუქტები სულ 1813 ლარის. ამ თანხიდან 1266 ლარი გაიხარჯა არამიზნობრივად, გვაზავას დაბადების დღის აღსანიშნავად და გაფორმდა, როგორც ბორჯომის შესყიდვა. დარჩენილი 547 ლარით შეძენილია უალკოჰოლო სასმელები, ჩაი, ყავა, შაქარი და სხვა პროდუქტები, რომელიც გაიხარჯა სესიების პრეზიდიუმის სხდომების ჩატარების დროს და საბჭოს ღონისძიებებზე. გთხოვთ, თანხები ჩამოწეროთ თქვენი შეხედულებისამებრ“. საოცარია, ამის შემდეგ მაინც რას მედავება?! თუ მისაღები ფასები არ იყო, რატომ გააფორმეს ხელშეკრულება, ან რატომ ურიცხავდნენ ფულს?!

ამის შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს. მათ ამჯერად თავი შეიკავეს. თუმცა **ჯემალ გამახარიამ** თავისი აზრი ხმამაღლა გამოთქვა: „მართლაც ზურაბ ზარანდიას რამდენიმე განცხადება და მიმართვა შემოდის გასული წლის აგვისტოდან. მაგრამ ვინაიდან კონტროლის პალატამ გეგმიური შემოწმება დაიწყო ოქტომბერში, ჩვენ მის დასკვნას დაველოდეთ. კომისიამ თითქმის სამი თვე იმუშავა, თუმცა ზ. ზარანდიას განცხადებები არ შეუსწავლიათ. არადა სიტუაცია დაიძაბა, ამიტომ ჩვენ მოვითხოვეთ კომისიის შექმნა. ირკვევა, რომ მანქანის შესყიდვასთან დაკავშირებით დოკუმენტები, რაც რევიზიამ შეისწავლა, გაყალბებულია. შესყიდვებთან დაკავშირებით, იმის შემდეგ, რაც კონტროლის პალატამ მუშაობა დაამთავრა, შემოსულია ახალი ოფიციალური დოკუმენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან, საიდანაც გაირკვა, რომ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისთვის შესყიდული ავტომანქანა იყო მისივე ოჯახის საკუთრება, რომელიც მანამდე ორი თვით სხვას გაუფორმა. მართალი გითხრათ, ამის შემდეგ სულაც არ არის საინტერესო კონტროლის პალატის დასკვნა. გაყალბებული დოკუმენტების მიხედვით, რა თქმა უნდა, ზურაბ ზარანდიაა პასუხისმგებელი, ხოლო სააგენტოდან მოსული დოკუმენტის მიხედვით, აქ აშკარა პასუხისმგებლობა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ეკისრება.

**საკითხი** რომ ცალმხრივად არ ყოფილიყო გაშუქებული, დავუკავშირდით ბატონ **გია გვაზავას,** რომელმაც ინტერვიუსგან თავი შეიკავა, მხოლოდ ის აღნიშნა, რომ მან კონტროლის პალატის აქტის საფუძველზე მიიღო ზურაბ ზარანდიას გათავისუფლების გადაწყვეტილება. თუმცა მოგვიანებით მედიისთვის გაკეთებულ განცხადებებში ამბობს, რომ დაპირისპირება, რომელიც აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში მოხდა, მხოლოდ მისსა და საბჭოს დისკრედიტაციას ემსახურება: „ეს ის ორგანოა, რომლის გაუქმებაზე სეპარატისტები და მისი სულისჩამდგმელები მუდმივად ლაპარაკობენ. ეს არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ჩვენს გაუქმებაზე ბევრს წერს. დღევანდელი პროცესები, ნებსით თუ უნებლიეთ, სწორედ ამ კუთხით მიდის“. რაც შეეხება პირადად მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს, ის ამბობს: „კი ბატონო, თუკი ეჭვი შეაქვთ კონტროლის პალატის აქტის სისწორეში, მაშინ არსებობს პროკურატურა. მას გადასცენ დოკუმენტები და თუ დამტკიცდება, რომ გია გვაზავა დამნაშავეა, მე ხელებს ავწევ, პრობლემა არ არის“.

**ასეთი დაპირისპირების შემდეგ, საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნით თავის კაბინეტში შიმშილობა დაიწყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა სერგი საჯაიამ. შიმშილობამ მხოლოდ ერთ დღეს გასტანა, ვინაიდან გია გვაზავამ თანხმობა განაცხადა კომისიის შექმნაზე. ამჯერად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტაციის რამდენიმეკაციანი ჯგუფი ამ დაპირისპირების დეტალებს სწავლობს და, სავარაუდოდ, შედეგიც მალე დაიდება...**

ესაუბრა
**თეა მოსია**

**ინფორმაცია**

## დალაი ლამა პოლიტიკიდან მიდის

**ტიბეტის პოლიტიკურმა და სულიერმა ლიდერმა დალაი ლამამ განაცხადა, რომ თავიდან იცილებს დევნილობაში ტიბეტის ხელისუფლების მეთაურის პოლიტიკურ უფლებამოსილებას. ამის შესახებ ბი-ბი-სი იტყობინება. დალაი ლამას თქმით, ეს პოსტი არჩევითი უნდა იყოს.**

**ჯერ კიდევ ნოემბერში გავრცელდა ინფორმაცია, რომ დალაი ლამა ტიბეტის პარლამენტისთვის მიმართვას აპირებდა, რათა მომავალი წლისთვის საკუთარი უფლებამოსილების დასასრულებლად უფლება მიეცათ.**



**დღესდღეობით ტიბეტელ ბუდისტთა სულიერი ლიდერი ცენტრალური ტიბეტის ადმინისტრაციას მეთაურობს. უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნით მას შეუძლია, პარლამენტს მიმართოს, რათა რეზოლუციას მოაწერონ ხელი.**

**ტიბეტის ხელისუფლება (იგივე ტიბეტის ცენტრალური ადმინისტრაცია) 1950 წლიდან არსებობს. იგი დალაი-ლამას ინიციატივით შეიქმნა ტიბეტში ჩინელთა შეჭრის შემდეგ. მისი ლეგიტიმურობა მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ აღიარა. ტიბეტის ხელისუფლების მთავარი მიზანი, ტიბეტის თავისუფლების აღდგენა და დევნილთა დახმარებაა.**

**75 წლის დალაი ლამა ტიბეტის დატოვების შემდეგ ჩრდილოეთ ინდოეთის ქალაქ დარმასალაში ცხოვრობს. ჩინეთის ხელისუფლებამ მას არაერთგზის დასდო ბრალი სეპარატიზმის გაღვივებაში.**

ჯი-ეიჩ-ენი

## პენსიონერი და პრეზიდენტი

# ვიცოცხლებთ მომავალი წლის პირველ ნახევრამდე!



ბელარუსის პრეზიდენტი ლუკაშენკო ის კაცია, რაც ენაზე მოადგება, ყველაფერს რომ წამოისვრის. ამ დროს სულ ფეხებზე ჰკიდია, ნათელ-მირონიც და ძველი ძმაკაცობაც.

აი იმ დღესაც, აილო და თავის აღმატებულ ქართველ კოლეგას, მთელი აღმოსავლეთი და დასავლეთი დემოკრატიის იმედად და შუქურად რომ მიიჩნევენ, ძაღლიშვილი უწოდა, **სააკაშვილი ძაღლიშვილიაო.**

არ დაუკონკრეტებია, რატომო.

უბრალოდ, ძაღლიშვილიო.

წადი და უყარე კაკალი!

არადა, ძალისძალად რომ გაპრეზიდენტდა, ბელარუსი ამომრჩეველი გადარია და მთელი დასავლეთიც ზედ მიაყოლა, მიხეილმა სწორედ მაშინ აფრინა ტელეგრამა მინსკში, მთელი ქართველი ხალხი აღფრთოვანებულია შენი ალალი გამარჯვებით და სწორედ ამ ხალხის სახელით გილოცავო.

იმან კიდევ, ძაღლისშვილიო.

ახლა მიხეილის მრჩევლები, თანაშემწეები და სხვადასხვა ჯურის მეხოტბენი სხედან და თავებს იმტვრევენ, როგორ „გამოაძვრინონ" ჩვენი პრეზიდენტი შექმნილი ერთობ უხერხული სიტუაციიდან.

ჰოდა, მივიდნენ კიდეც „ოქროს კვეთამდე": მიუხედავად იმისა, რომ ლუკაშენკო კრიჭაში უდგას რუსეთს, სულში მაინც რუსოფილია და ამიტომ რუსოფობი და „მედასავლეთე" სააკაშვილი „არ ევასებაო". აქედან – „ძაღლიშვილი სააკაშვილიო".

მოდი და ამის შემდეგ ვინმეს სიკეთე უყავი.

იმისი არ იყოს, „გაჭირვებამ დედლოფალთან დამაწვინაო", დაალირა ბატონმა მიხეილმა ორშაბათს თავი და რუსთავში პენსიონერებს შეხვდა. თუმცა, საცა სამართალია, არანაირი პირი არ ჰქონდა მათთან შეხვედრისა.

„ვარდების რევოლუციის" გარიჟრაჟზე აკი სწორედ მან აუქნია ხელი ჭარმაგ თაობას და ბეღურების გუნდივით მიმოფანტა. „ნოინის" სახელმძღვანელო მითითება მისმა ერთგულმა ნუკერებმა განუხრელად განახორციელეს.

და ჩვენ უკვე მყარად „მივეჩვიეთ" ამ ცხოვრებაში პენსიონერის ზედმეტობას, უკეთესი მომავლისთვის გმირულად მშრომელ-მებრძოლი ვარდოსანი ჭაბუკებისა და ქალიშვილებისათვის ყოფით ხელშემშლელობას.

ეს ვითარება თავის დროზე ძალზე სხარტად, მოხდენილად დაასურათხატა ეკონომიკის უდღეურმა (სულ სამი თვე „იღვაწა" სახალხო მეურნეობის ამ უბანზეძ, რევოლუციურ ტალღაზე მოსულმა მინისტრმა: 40 წლის თანამშრომელი კი არა, ხეც არ მინდა ბაღშიო. მისმა შემხედვარე მოადგილეებმა, დეპარტამენტის უფროსებმა, ან უბრალოდ, უწყებაში ახალგამოკვირტულმა მუშაკებმა, რომელთა ერთადერთი ღირსება იმ უტვინო ლაწირაკის თანაკლასელობა, საბავშვობაღელობა ან სულაც უზნელობა იყო. ისინი და მისი მსგავსნი მყარად ჩარჩნენ ხალხის მახსოვრობაში.

რამდენი ჯერ კიდევ ჯანღონით სავსე, ცოდნით, გამოცდილებით დაყურსული ჭარმაგი ადამიანი გაამწარეს, ბედი გაუმრუდეს, ცხოვრებიდან მოიკვეთეს „საპენსიო ასაკის" გამო, რამდენი ოჯახი აწეწეს და დაარბიეს, რამდენი თვითმკვლელობამდე მიიყვანეს, გულცივად გაწირეს.

ეს ყველაფერი ორშაბათს რუსთავში პენსიონერებთან პრეზიდენტის შეხვედრამ გამახსენა. გამახსენა მწარედ, თითქოს ყელში თოკი წამიჭირესო. ოღონდ, მომეჩვენა თუ რა იყო, 2011 წლის პრეზიდენტი თითქოს მაინცდამაინც არ ჰგავდა 2004 და შემდგომი წლების პრეზიდენტს, მომეჩვენა, რომ გასულმა დრომ რაღაც ასწავლა ბატონ მიშას იმის კვალობაზე, რომ თვითონაც უკვე გასცდა 40 წლის ასაკს, თითქოს რაღაც-რაღაცეებზე დაფიქრებულა და გადაუფასებიაო.

პენსიონერობა ასაკის განმსაზღვრელი არ არის, ის უბრალოდ სოციალური სტატუსია. თქვენ საკუთარი მხრებით მოგვიტანეთ აქამდე როგორც თაობა და ეს უნდა ესმოდეს ყველა მინისტრს, დეპუტატს, როგორც ჩემი ასაკისას, ისე უფრო ახალგაზრდასაც. თითოეული თქვენგანი ჩვენი საზოგადოების აქტიური წევრია, პენსიაზე ყოფნა სულაც არ ნიშნავს ასაკში ყოფნას, რადგან ადამიანი იმდენ ხანს არის ახალგაზრდა, რამდენ ხანსაც თავს ახალგაზრდად მიიჩნევს, აზროვნებს და უვლის ოჯახს. თქვენ საკუთარი მხრებით მოიტანეთ აქამდე ეს ქვეყანა და, ბოლოს და ბოლოს, ეს პოლიტიკური მთავრობაც თქვენი მოყვანილია ამ კაბინეტში, რომლებშიც ისინი სხედან. არავის არც ერთი წუთით არ უნდა დაავიწყდეს, უპირველესად ვის წინაშე არიან ისინი ვალში. ჩვენ ამ ვალს ბოლომდე გადავიხდით – უთხრა პრეზიდენტმა შეკრებილთ და ამით თითქოს ბოდიში მოიხადა მათ წინაშე გაძაღლებული სიბერისა და თითქოს საგანგებოდ გატიალებული რუსთავის გამო. მიშა იმ დღეს ხაზგასმულად ენაწყლიანი და მომნანიებელი იყო და დაჟინებით ცდილობდა პენსიონერებში უიმედოდ მინავლული თავისი ავტორიტეტი ერთი ხელის მოსმით აეგიზგიზებინა. ვიცი, რომ საქართველოში ყველაზე მეტად პენსიონერებს უჭირთ და მუდმივად ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ გამოვასწოროთ მდგომარეობაო.

და პენსიონერები გაამხნევა – ჩვენ შემოსავლის რამდენიმე წყარო გვაქვს, ერთ-ერთი მათგანი სახელმწიფო ხარჯების მინიმუმამდე დაყვანა არისო. ერთ რამეს უდავოდ მივაღწიეთ – აღარ გვაქვს სამთავრობო კორუფციაო.

მაგრამ აქ ბატონ პრეზიდენტს დაავიწყდა, რომ გრაფ მონტე კრისტოს დონის პრემიები, რასაც მის სამთავრობო ელიტა იღებს სრულიად ლეგალურად, ფაქტობრივად იგივე კორუფციაა. **როცა მოხელე წელიწადში 200 ათას ლარს იწერს პრემიად,** რასაც რკინიგზის დეპარტამენტის უფროსზე ამბობენ დაბეჯითებით, რა ჰქვია ამ მოვლენას? როცა თბილისის საკრებულოს წევრები 7-9 ათას ლარ პრემიებს იღებენ, ნუთუ ეს არანაირად არ გავს იმ ყბადაღებულ კორუფციას? საზღვარგარეთ ფაქტობრივად მხოლოდ სასეირნოდ ჯოგ-ჯოგად სიარულიც რა ჯდება, დაიანგარიშა ვინმემ? დაიანგარიშოს და შემოსავლების ერთი ძალუმი წყაროც ჩამოწანწკარდება. აკი თქვენვე თქვით იმ დღეს: ჩვენი მთავარი პრინციპი ის არის, რომ აღარ დავუშვათ ორგანიზებული დანაშაული და კორუფცია. თუკი მაღალ თანამდებობრივ საფეხურზე კორუფცია იქნება, ქვემოთ ვერავის მოსთხოვ პატიოსანი იყოსო.

აქ შოთა ნიშნიანიძის ერთი ლექსი მინდა შევახსენო პატივცემულ მიხეილს: **„ის გადიოდა კრემლიდან მარტო და ბავშვებისთვის გაჰქონდა პური"...** შეიძლება ასე სრულიადაც არ იყო, მაგრამ ხალხმა კომუნისტ ბელადს სრულიად დაჯერებულმა მიაწერა, რადგან იცოდა მისი ასკეტური ცხოვრების წესი, პირად ცხოვრებაში სრული უანგარობა.

რომელი ჩვენი ბუღა მოხელე „გავა" და ვინმეს „პურს" გაუტანს? მეტი არაა ჩემი მტერი! ხალხმა ტყუილად კი არ დაუმისამართა ჩენს დელეგაციას ლისაბონის სასტუმროში 80 მაღალტარიფიანი მეძავის შეპარება, და ამას მიყოლებული ღრიანცელი. ეს თავისმომჭრელი ფაქტი იქნება სულაც არ მომხდარა, მაგრამ ხალხმა გადაჭრით განაცხადა, იყოო, რადგან ამ ჩვენი ელიტისა არაფერი სწამს.

ჩვენ მინისტრი და რამდენიმე მოადგილე გავუშვით ჩილეში, რამდენიმე დეპუტატი გავუშვით სინგაპურში, რათა ენახათ ამ ქვეყნების საპენსიო მოდელიო. ამ ქვეყნებმა ჩვენზე დაბალი დონიდან დაიწყეს, მაგრამ სწორი საპენსიო პოლიტიკის წყალობით არც პენსიონერი ჰყავთ უკმაყოფილო და მათი ეკონომიკაც ვითარდება. იმაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი, ვიდრე სოციალური დაცვაა, არ არსებობს.

ღმერთმა გისმინოთ, მაგრამ ძალზე მეეჭვება, რომ ჩვენმა ემისრებმა იქიდან რამე სასიკეთო ჩამოიტანონ, რადგან უპირველესად საკუთარი „პრობლემების" გადაჭრას მოუნდებოდნენ.

ასეა თუ ისე, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ **პირველი სექტემბრიდან ქვეყანას გაუჩნდება საშულება, მინიმალური პენსია გახდეს 100 ლარი. თბილისში პენსია 10 ლარით მეტია, ვიდრე პერიფერიებში, სექტემბრიდან ყველას 100 ლარი ექნება.** სტაჟის და დამსახურების მიხედვით ამ თანხას დაემატება 7 ლარი და გახდება 107 ლარი.

**შემდეგ იქვე ითქვა, რაც ითქვა: მომავალი წლის პირველი ნახევრიდან მივუახლოვდებით საპენსიო პაკეტს – 100-დოლარიან ეკვივალენტს და ძირითადი კატეგორიის პენსიონერებისთვის ის გარანტირებული იქნება!**

**დასკვნა: გაჭირვებულ პენსიონერს გაუჩნდა იმედი – 100-დოლარიანი ეკვივალენტი!** მართალია, კაცმა არ იცის მომავალი წლის პირველი ნახევრის 100 დოლარის ეკვივალენტი დღევანდელ ეკვივალენტს რა დონეზე ამოუდგება მხარში, მაგრამ რაკი იმედის რაღაც იმედი გაჩნდა, ხალხი მედგრად ჩაებღაუჭა მას. ახლა მთავარია მომავალი წლის პირველ ნახევრამდე მივიტანოთ თავი. ისე, რომ გამოთქმა **„ვიცოცხლებთ ორშაბათამდე"** თავისთავად გადაკეთდება – **„ვიცოცხლებთ მომავალი წლის პირველ ნახევრამდე!"**

**ალეკო ასლანიშვილი**

## ინფორმაცია

### რომელ ქვეყნებს ემუქრება დეფოლტი?

**ამერიკულმა** გამოცემა Business Insider-მა შეადგინა 18 ქვეყნის რეიტინგი, რომელთაც დეფოლტი ემუქრებათ. რეიტინგის შედგენისას გათვალისწინებული იყო საგარეო ვალის მოცულობა, პოლიტიკური და ფინანსური სტაბილურობა. Business Insider-ის რეიტინგის მიხედვით პირველ ადგილზე აღმოჩნდა ვენესუელა, სადაც სამთავრობო ვალების დაბრუნება გართულებულია, რაც ნავთობის მოპოვების შემცირებას უკავშირდება.

მეორე ადგილზეა საბერძნეთი, სადაც დეფოლტის მიზეზად დასახელებულია ხელისუფლების მიერ ეკონომიკის რეგულაციის მკაცრი ზომების გატარების საფუძველზე ქვეყანაში არსებული მღელვარება. მესამე ადგილზეა არგენტინა. აქ დეფოლტის მიზეზად ინფლაციის მაღალი დონე სახელდება, მეოთხე ადგილზეა ირლანდია – მიზეზი საბანკო კრიზისი.

მეხუთე ადგილზეა პორტუგალია, რომელსაც მიმდინარე წელს 20 მლრდ. ევროს საგარეო ვალი აქვს გასასტუმრებელი.

Business Insider-ს რეიტინგის მიხედვით, უკრაინა მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა, სადაც დეფოლტის მთავარ მიზეზად ეკონომიკის ზრდის დაბალი ტემპი და საგარეო ვალის დიდი მოცულობა სახელდება. რეიტინგში შემდგომ მოდიან ქვეყნები: ლიბია, ეგვიპტე, ბაჰრეინი. რეიტინგში ასევე მოხვდნენ ევროკავშირის შემდეგი ქვეყნები: ესპანეთი, ბულგარეთი, ხორვატია, რუმინეთი, ლიტვა და უნგრეთი. ყველა ამ ქვეყანას გააჩნია პრობლემები საბანკო სექტორში, ინფლაცია და პოლიტიკური არასტაბილურობა.

### ყოველი მესამე ქალი ძალადობის მსხვერპლია

**საქართველოში** ყოველი მესამე ქალი ძალადობის მსხვერპლია. გამოკითხვა, რომელიც ოჯახში ძალადობის პრობლემის კვლევას ისახავდა მიზნად, 2010 წელს საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდა. გამოიკითხა 1250-მდე ადამიანი. კვლევის შედეგებით საქართველოში ყოველი მესამე ქალი ძალადობის მსხვერპლია.

მამების 52%, დედების 46% და მასწავლებლების 35% ძალადობს ბავშვზე; გამოკითხულ მსხვერპლთა 58% ქუჩაში გასვლისას, ხოლო 48% სახლში დარჩენისას ვერ გრძნობს თავს უსაფრთხოდ; გამოკითხულ მსხვერპლთა 60% ამბობს, რომ ბავშვობაზე მამის მხრიდან დედაზე ფსიქოლოგიური ძალადობის, 50% ფიზიკური ძალადობის, ხოლო 15% სექსუალური ძალადობის მომსწრე გახდა; გამოკითხულ მსხვერპლთა 8% ინცესტის, 4% თანატოლების მხრიდან, ხოლო 20% უფროსების მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლია; საპატრულო პოლიციის ყოველი მეოთხე გამოძახება ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მოდის.

პროექტს „საქართველოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაუმჯობესება ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის და მსხვერპლთა დასახმარებლად" მესამე წელია არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი" ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით და „ესტონეთის ღია საზოგადოების ინსტიტუტთან" ერთად ახორციელებს. პროექტში ჩართულები არიან სახელმწიფო მოხელეები, პოლიციელები, ექიმები, სოციალური სფეროს მუშაკები და სხვა სპეციალისტები.

### დააკავეს თაღლითი დისტრიბუტორები

**დიდი** ოდენობით თანხების მითვისების ფაქტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს შპს „ჯი-თი-სი-აი"-ს დისტრიბუტორები ოლეგ სვანიძე და ზურაბ დეკანოიძე, შპს „მეგა-2"-ს დისტრიბუტორები კახა კორინთელი და ნიკოლოზ ქუჯოშვილი, შპს „კევი-ჯორჯიას„ დისტრიბუტორები ენრიკო კვინიკაძე და მირიან ბასილაია, აგრეთვე, საერთაშორისო სადისტრიბუციო კომპანიის დისტრიბუტორები მალხაზ დარსალია და გიორგი კალანდაძე.

გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირები რამდენიმე წლის მანძილზე მუშაობდნენ სადისტრიბუციო ფირმებში და საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სავაჭრო ობიექტებს ამარაგებდნენ სხვადასხვა პროდუქციით: სარეცხი და ჰიგიენური საშუალებებით, საკონდიტრო ნაწარმით, სხვადასხვა დასახელების საღეჭი რეზინებით და ა.შ

ბრალდებულებს სადისტრიბუციო ფირმების პროდუქციის რეალიზების შედეგად მიღებული თანხები არ შეჰქონდათ კომპანიების სალაროებში. ფირმების ხელმძღვანელობის მხრიდან არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, რათა დროულად დაებრუნებინათ მითვისებული თანხები, მათ არანაირი ზომები არ მიიღეს და საკმაოდ სოლიდური ოდენობის თანხები თავიანთი პირადი მიზნებისათვის გამოიყენეს. მათ მიერ მითვისებულია დაახლოებით 45 000 ლარი.

მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით.

ჯი-ეიჩ-ენი

ორი აზრი ერთ საკითხზე

# ამერიკული თესლი - ქართული სიმინდი?!

**საქართველოს სიმინდი გადაარჩენსო... ასეთ პროგნოზს გვთავაზობს პრეზიდენტი სააკაშვილი — მსოფლიოს უპირველესი რეფორმატორი ქვეყნის აღიარებული ლიდერი, პიროვნება, რომელმაც საქართველო ეკონომიკისა და დემოკრატიის შუქურად აქცია და მოდი და ნუ დაუჯერებ. როდესმე მსგავსი თაოსნობა რომ წამოეწყო და ჩაფლავებოდა, კიდევ შეიძლებოდა მის რეალობაში ეჭვი შეგვპარვოდა, მაგრამ როცა ამის საბაბი არ მოუცია, რას მოუმიზეზებ? ვერაფერს. მართალია თავის დროზე მრეწველთა პარტიის ლიდერი გოგი თოფაძეც იქადნებოდა, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოსო, მაგრამ სად რიგითი პოლიტიკოს-ბიზნესმენის ინტელექტჰორიზონტი და სად კიდევ პრეზიდენტისა!**

ამას წინათ პარლამენტის უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე კი აუშარდა ქვეყნის თავკაცს — პროგრამები ჩაგივარდაო და ჩამოთვალა კიდეც რომელ პროგრამებს გულისხმობდა: „ანტიკრიზისული პროგრამა“, „დასაქმების პროგრამა“, „ასდღიანი პროგრამა“, „იაფი დაზღვევის პროგრამა“, „იაფი კრედიტის პროგრამა“, „ასი საავადმყოფოს პროგრამა“ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, მაგრამ იქვე დაამატა, რომ ყველა ეს პროგრამა უტოპიური იყოვო და ამით ყველაფერი გააფუჭა. შე კაიდედმამიშვილო, თუ პროგრამები უტოპიური იყო, ჩავარდებოდა აბა რა მოუვიდოდა?!

მთავრობის ძველი უტოპიები იმიტომ გამახსენდა, რომ ბოლო პერიოდში ახლებიც გაჩნდა. მაგალითად, აფრიკიდან ბურების ჩამოსახლება და საქართველოს ფერმერული მეურნეობის წამიერი აყვავება, ამერიკიდან ჰიბრიდული სიმინდის შემოტანა, მისი მოსავლის სულ მცირე ერთისამად გაზრდა და მარცვლის საექსპორტოდ გატანა, რასაც ჩვენში ბევრი ვინმე ასევე უტოპიად მიიჩნევს და ხელისუფლების მშიერი ფანტაზიის მორიგ ოინბაზობად აღიქვამს. მთავრობის ოინბაზობაზე რა მოგახსენოთ, როცა თვალწინ ამის არა ერთი და ორი მაგალითი გვიდევს, მაგრამ ქვეყნის სოფლის მეურნეობაში რომ კატასტროფული მდგომარეობაა, ამის უარყოფა უკვე თვით მსოფლიოში აღიარებულ პირველ ოპტიმისტ სააკაშვილსაც უჭირს.

და აი, მთავრობამ და პრეზიდენტმა, რომლებმაც 7 წელიწადი ისე იჭრიჭინეს და იფრინეს, რომ სოფლისკენ ერთხელაც არ გაიხედეს, ახლა რატომღაც ორიენტირები შეცვალეს — სოფლის მეურნეობა, ქვეყნის ინფრასტრუქტურასა და ტურიზმთან ერთად, პრიორიტეტულ დარგად გამოაცხადეს, მის ასაღორძინებლად ბიუჯეტიდან 150 მილიონი ლარი გამოყვეს, მარცვლეულის პრობლემის ამოსაწევად ამერიკიდან სიმინდის ჰიბრიდული თესლი შემოიტანეს და გლეხობისთვის კილოგრამი თესლის 17 ლარად დარიგება დაიწყეს.

**უშველის კი ეს ყველაფერი ქვეყნის დაქცეულ სოფლის მეურეობას და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მისმა ერთ-ერთმა ფუძემდებელმა დარგმა — მემარცვლეობამ წელში წამოიწიოს, ამის თაობაზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ ცნობილ მეცნიერს, საქართველოს სახელმწიფო და დარგობრივი პრემიების მრავალგზის ლაურეატს, მარცვლოვანი კულტურების მრავალი ჰიბრიდისა და ჯიშის ავტორს, განსაკუთრებით სიმინდის კულტურის ჯადოქარ სელექციონერად აღიარებულ მეცნიერ-პროფესორს ოთარ ლიპარტელიანს.**

— საქართველოს ხელისუფლება რომ თავიდანვე გულისყურით მოკიდებოდა სოფლის მეურნეობის განვითარებას და ის სადღაც მეათეხარისხოვნი საქმედ არ მიეჩნია, — ამბობს ბატონი ოთარ ლიპარტელიანი, — ახლა მას სიმინდის თესლის მოსაძიებლად შორეულ ამერიკაში სირბილი არ მოუწევდა. გაუგებარია, რა

## მოსავალი იმდენი გვექნება, საექსპორტოდაც გავიტანთო...

გვჭირს ჩვენ სხვაგან საწოწიალო, **დედამიწაზე ვერ იპოვით მეორე ისეთ ქვეყანას, სადაც ასეთ პატარა ტერიტორიაზე მცენარეთა სიუხვის ასეთი სიმრავლე და მრავალფეროვნება იყოს. მსოფლიოს მეცნიერთა მიერ დადგენილია, რომ ხორბლის ცნობილი 27 სახეობიდან საქართველოში აღნუსხულია 14 სახეობა, აქედან 5 ენდემური ჯიში, რომელთა მოვლა-მოყვანას მხოლოდ საქართველოში მისდევდნენ. ასეთებია: მახა, ზანდური, ჩელტა ზანდური, ქართული ასლი და დიკა. ამით დადასტურებულია, რომ საქართველო ხორბლის კულტურის წარმოშობის პირველადი კერაა.**

ალბათ ბევრმა არც იცის, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კულტურების გენეტიკა-სელექციისა და მეთესლეობის მეცნიერების აკვანი ჯერ კიდევ 1914 წელს თბილისის ბოტანიკურ ბაღში დაირწა. 1929 წელს ის გადაკეთდა საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ სასელექციო სადგურად, რომელიც 1933 წელს გადავიდა მცხეთაში, ახალუბანსა და წილკანს შორის მდებარე ტერიტორიაზე, სადაც ხორბლისა და სხვა მინდვრის კულტურების სელექცია მიმდინარეობდა 3 ეტაპად. **სწორედ მესამე ეტაპი მოიცავდა ხორბლის ფარგლებში სახეობისშიგა ჰიბრიდიზაციას, რასაც დიდად შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობის კვლევის საერთაშორისო ცენტრთან — იკარდასთან ურთიერთობამ, საიდანაც დღემდე მიღებულია ხორბლის 6 68ნ ჯიშნიმუში. მათ საფუძველზე, ადგილობრივი ფორმების გამოყენებით, გამოყვანილი და დანერგილია წარმოებაში 5 ჯიში — ვარძია, დედა, აისი, ბაზალეთი და მცხეთა. სულ ხორბალში დღემდე გამოყვანილი და დანერგილია 33 ჯიში.**

**— ბატონო ოთარ, რახან მთავრობამ კურსი სიმინდზე აიღო, იქნებ ჩვენც ამ კულტურაზე გადავერთოთ, მით უფრო, რომ ხელისუფლებამ ლამის ის ტალახიდან ურმის (ამ კონკრეტულ შემთხვევაში სოფლის მეურნეობის) ამოთრევის უმთავრეს კომპონენტად წარმოგვიდგინოს.**

— გაზვიადება რა საჭიროა, მაგრამ ალბათ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სიმინდს, როგორც სამარცვლე საკვებ კულტურას, მსოფლიო მიწათმოქმედებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. მარტო იმის თქმაც კმარა, რომ სიმინდის მარცვლისა და ნაქუჩისგან 96 სახის საკვები, სამედიცინო და სამრეწველო პროდუქცია მზადდება. ის არის როგორც სასურსათო, ასევე ძირითადი საკვები ჩვენი მოსახლეობისა და მოზარდებისათვის. ამ უმნიშვნელოვანესი კულტურის სამშობლო ამერიკაა, თუმცა ის ჩვენთან შემოიტანეს 360 წლის წინათ ესპანეთიდან. პირველად შემოვიდა სიმინდის კაჟა ფორმები, ხოლო შემდეგ — კბილა ფორმები. **ამ ორი ფორმის ბუნებრივი ჰიბრიდიზაციით ქართველმა სელექციონერებმა გამოიყვანეს ისეთი ჯიშები, რომელთა მსგავსიც თვით სიმინდის დედაქვეყანაშიც არ მოიპოვება. ამდენად, საქართველო შეიძლება ჩაითვალოს სიმინდის მეორე სამშობლოდ.**

**— გასაგებია, ბატონო ოთარ, საქართველოს მეცნიერ-სელექციონერთა მიერ გამოყვანილი და დანერგილია სიმინდის ისეთი საყოველთაოდ აღიარებული და უნიკალური ჯიშები, როგორებიცაა: იმერული ჰიბრიდი, აჯამეთის თეთრი, აბაშური ყვითელი, ქართული კრუგი, გერგეთული ყვითელი და სხვები, მაგარმ გაუგებარი ის გახლავთ, ასეთი ჯიშების პატრონებს საზღვარგარეთიდან ძვირადღირებული თესლების შემოტანა რატომ უნდა გვჭირდებოდეს?**

— კარგი იქნებოდა ამის თაობაზე ამჟამინდელი მთავრობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მესვეურთათვის გეკითხათ, რომელთა „გონივრული პოლიტიკის“ წყალობითაც **ქვეყანაში სოფლის მეურნეობა და მასთან ერთად სელექცია-მეთესლეობის სისტემა ერთიანად განადგურდა. დიდად სამწუხაროა, რომ იმ ქვეყანაში, სადაც საფუძველი ჩაეყარა მცენარეთა ხალხურ, მეცნიერულ სელექციას, გენეტიკას და მეთესლეობას, სადაც გამოყვანილი და დანერგილია სასოფლო-სამეურნეო კულტურების 54 ჯიში და ჰიბრიდი, დღეს მიწათმოქმედების ინსტიტუტი დარჩა მიწის გარეშე. მსოფლიოში არ მოიძებნება პატარა ქვეყანაც კი, სადაც არ წარმოებდეს სასოფლო კულტურების სელექცია-მეთესლეობა, გამონაკლისი მხოლოდ საქართველოა. სამწუხაროდ, ჩენთან ამ სფეროს მეცნიერებად არ მიიჩნევენ და თითქმის ნებისმიერ ფერმერს თუ პიროვნებას შეუძლია აწარმოოს მეთესლეობა. ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ერთობ მცირე მოსავალს იწვევენ.**

**— და იმის მიზეზიც, რომ მთავრობამ სიმინდის მცირემოსავლიანობა მხოლოდ უჯიშო თესლს დააბრალოს და ამერიკიდან შემოტანილი თესლის იმედად ზღაპრული კოშკები ააგოს. არადა გავრცელებულია ხმები, რომ ამერიკული თესლი არის გენმოდიფიცირებული, რამაც შესაძლოა ქვეყანას უხვი მოსავლის ნაცვლად ზიანი მიაყენოს.**

— ამ აზრს ვერ დავეთანხმები, ეს უფრო ჭორსა ჰგავს, ვიდრე რეალობას. მაგრამ არც ის არის სწორი, ზოგი ამერიკულ თესლს პანაცეად რომ მიიჩნევს, ფიქრობს, რომ თუკი მას დათესავს, უეჭველად ზღვა მოსავალს მიიღებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თესლი რაც უფრო კულტურულია, იმდენად უფრო მეტ მოვლას მოითხოვს. ამდენად, **არარეალურია განცხადება, რომ ამერიკული თესლიდან ადგილობრივთან შედარებით, სამჯერ მეტ მოსავალს მიიღებ. უხვ მოსავალს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიწევ, თუ მოვლა-პატრონობის ისეთ სისტემას შექმნი, როგორიც ამერიკაში აქვთ. ჩვენთან გაუმართავია სარწყავი სისტემა, დაბალია აგროტექნიკა, ძვირი ჯდება თესლი (კილოგრამი 17 ლარი) და თავდაჯერება, რომ უეჭველად მაღალ მოსავალს მივიღებთ, ცოტა გადაჭარბებული ხომ არ არის? გასათვალისწინებელია სხვა გარემოებებიც, თუნდაც ის, რომ უხვ მოსავალს იძლევა პირველი თაობის ჰიბრიდი, მომდევნო წელს კი მოსავალი 30 პროცენტით მცირდება.** ამიტომ თუ გვინდა, რომ ბლომად მოსავალი მივიღოთ, ყოველწლიურად პირველი თაობის ჰიბრიდი უნდა დავთესოთ, რომლის შეძენის და ნათესის მაღალი აგროტექნიკით დამუშავების თავი ჩვენს გლეხობას ნამდვილად არ აქვს. **ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამერიკული სიმინდი მხოლოდ საფურაჟედ გამოიყენება და მჭადსა და ღომზე, რასაც ასე გემრიელად მივირთმევთ ქართველები, პრეტენზიული ვერ იქნება.**

**— ყოველივე ამის შემდეგ თქვენ რას სთავაზობთ ხელისუფლებას?**

— რა თქმა უნდა, განადგურებული მეთესლეობის სისტემისა და სელექციური საქმიანობის აღდგენას, რის შესახებაც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ პარლამენტში შესაბამისი პროექტი უკვე წარადგინა. **ველოდებით დადებით პასუხს და იმის გარანტიას, რომ იმ 150 მილიონი ლარიდან, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობისთვის გამოიყო, ნაწილი მაინც ამ საქმეს მოხმარდება.**

ღმერთმა ქნას, რომ ასე მოხდეს, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების მრავალწლიანი გამოცდილებიდან და პირადი ამბიციებიდან გამომდინარე, ნაკლებად დასაჯერებელია, რომ მან მეცნიერთა რჩევებსა და რეკომენდაციებს ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვიოს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ არც იმის დაჯერება უნდა გაგვიჭირდეს, რომ აფრიკელი ბურები შემოდგომაზე ისევ გვეწვევიან, ტაროებით დახუნძლული სიმინდის მომტვრევაში მოგვეხმარებიან და ჭარბი მოსავლის ექსპორტზეც სიამოვნებით დაგვთანხმდებიან. პრეზიდენტ სააკაშვილს ეს ამბავი ჯერ არ „გაუჟღერებია“, მაგრამ მისი სულსწრაფობის ამბავი რომ ვიცი, ამ „საიდუმლოსაც“, ალბათ, დამწნილება არ უწერია.

ოთარ ხუციშვილი



# ტექნოლოგია „ტერმინატორი“ და „ვერმინატორი“

**ტექნოლოგია „ტერმინატორი“ ერთობლივად შეიმუშავეს აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა და ერთ-ერთმა თესლეულის მწარმოებელმა ფირმამ (ეს ფირმა ამჟამად „მონსანტოს“ ფირმის საკუთრებაა). ტექნოლოგია „ტერმინატორის“ შემქმნელების მიზანია მსოფლიო მეთესლეობის წარმოების მონოპოლიზაცია და თესლებზე გაზრდილი ფასის დადება, რათა ფერმერიც და მსოფლიოს სოფლის მეურნეობაც თავიანთ თავზე დამოკიდებული გახადონ. ამ მიზნის მისაღწევად შეიმუშავეს მეთოდიკა, რომელიც მცენარეს გამრავლების უნარს უკარგავს. ასეთი თესლიდან აღმოცენებული მცენარე ჩვეულებრივად იზრდება და ჩვეულებრივ მოსავალს იძლევა, მაგრამ მიღებულ თესლს დათრგუნვილი აქვს გამრავლების უნარი, ე.ი. სტერილურია. ამას კი აღწევენ დასათესი მასალის სპეციალურ ხსნარში დამუშავებით. ეს სტიმულატორი სიმწიფის ფაზაში გადასულ ნაყოფს ურთავს გენეტიკურ პროცესს, რომლის შედეგად გამომუშავებული ტოქსინი თესლს სტერილურს ხდის.**

ეს ტექნოლოგია პირველ რიგში ეწინააღმდეგება აგრობიომრავალფეროვნებას, ურომლისოდაც კაცობრიობის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. იგი ართმევს გლეხს ძირძველ უფლებას თვითონ მოიყვანოს თესლი და აწარმოოს სელექცია, აგრეთვე ეწინააღმდეგება ეროვნულ უსაფრთხოებას, რადგან სწორედ ასეთ ფირმაზეა დამოკიდებული — ქვეყანამ თვითონ აწარმოოს ესა თუ ის პროდუქტი თუ აწარმოოს მისი იმპორტი.

გარდა ამ მუხანათური ტექნოლოგიისა, არის მეორე არანაკლებ მუხანათური ტექნოლოგია „ვერმინატორი“. ამ ტექნოლოგიით ნარკომანი მცენარე გამოჰყავთ. თესლის დამუშავებით მცენარეს გაუთიშავენ ისეთ გენს, რომელიც პასუხს აგებს მცენარის ზრდაზე, კვებით ღირებულებაზე, შაქრის დაგროვებაზე, სუნზე ან რომელიმე სხვა მნიშვნელოვან კომპონენტზე. ამ გათიშული გენის ჩართვა კი მხოლოდ იმ ქიმიკატებითაა შესაძლებელი, რომელთაც ეს ფირმა ჰყიდის. როგორც ხედავთ, ამ შემთხვევაშიც კომპანია ცდილობს — ხელში ჩაიგდოს ქიმიკატებისა და სასუქების გასაღების ბაზარი, რაც საბოლოოდ ამ პროდუქციაზე ფასების ზრდით დაგვირგვინდება.

ასეთი ფირმები არაფერს ერიდებიან იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტ ქვეყანას მოახვიონ თავს თავიანთი მომსახურება. მათ რიცხვში უპირველესთა შორის საქართველოცაა, რადგან სწორედ ჩვენ ვართ მოწინავე ქვეყანა აგრობიომრავალფეროვნებით.

საქართველოში იმდენი ჯიშის სიმინდია, რამდენიც კუთხე-კუნჭულია. ყველა მათგანი მორგებულია იმ კუთხის ჰავასაც, გარემო პირობებსაც და მიწის სტრუქტურასაც. მიუხედავად ამისა, ამერიკიდან ჩამოგვიტანეს საეჭვო წარმომავლობის სიმინდი და მიდის მისი რეკლამირება მინისტრისა და პრეზიდენტის დონეზე.

მთავრობას მინდა ვურჩიო, რომ ქვეყანაში თუ პროდუქტი ბიზნესს შემოაქვს, ისინი თესლსაც შემოიტანენ, თქვენ კი მელიორაციას მიხედეთ. სწორედ ესაა თქვენი საქმე.

ჟორა გაბრიჭიძე

### გამოცდილება

# რაც არასოდეს არ არის გვიან

> ვეღარც მთა გვშველის, ვერც ბარი,
> აღარსად ვეძებთ ჭკუასა.
> მტერს ცულის ტარად ვეყრებით
> და თავში ვიცემთ ყუასა.
>
> აკაკი

საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლამ ძალაუნებურად გაგვახსენა მეცნიერთა ერთი ჯგუფის მიერ ჩინეთში ვიზიტის დროს მიღებული შთაბეჭდილებები. იმ ქვეყნის სახალხო წარმომადგენელთა სასახლეში გამართულ ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიისა და ჩინეთის ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივ ასამბლეაზე მიწვეული იყვნენ ამ აკადემიების უცხოელი წევრები, მათ შორის ცნობილი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი უ. ი. ალფიოროვი. შემოკლებით მოგვყავს მეცნიერთა მიერ სხდომაზე მიღებული შთაბეჭდილება. „სხდომის დაწყებისას მოკლე შესავალი სიტყვები წარმოთქვეს ორივე აკადემიის პრეზიდენტებმა, ხოლო ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ხუ ცძინ-ტაო. ეს იყო საოცარი გამოსვლა! არავითარი პოლიტიკა — და მხოლოდ უმაღლეს მეცნიერულ დონეზე წაკითხული პროფესორის ლექცია, მიძღვნილი ამ აკადემიების საქმიანობისადმი. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სწორედ ეს აკადემიები წარმოადგენენ ქვეყნის ინტელექტუალური ძალების ბირთვს, რომლებიც ამუშავებენ მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისათვის საჭირო ყველა მსხვილმასშტაბიან პროგრამას და რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ გეგმებს, ხოლო ხელისუფლება ცდილობს ამ პროექტების რეალიზებასა და ცხოვრებაში გატარებას. ასე იყო ბოლო ოცი წლის განმავლობაში. ასე გაგრძელდება მომავალში“ — ამ სიტყვებით დაამთავრა გამოსვლა ქვეყნის პირველმა პირმა.

დღეს ჩინეთმა თავის განვითარების ტემპებით და ეკონომიკური მაჩვენებლებით ევროპის ლოკომოტივად წოდებულ გერმანიას უკვე გაუსწრო, ექსპერტთა აზრით, უახლოეს 15-20 წელიწადში აშშ-საც უკან ჩამოიტოვებს. დენ სიაოპინმა მშიერი ქვეყანა რაღაც 30 წლის განმავლობაში მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად აქცია, რაშიც, მკვლევართა აზრით, არანაკლები როლი შეასრულა კონფუცის იდეოლოგიამ და ქვეყნის მეცნიერულმა კადრებმა. აი „ჩინური საოცრების“ საფუძველთა საფუძველი.

ჩვენის მხრივ მხოლოდ ერთს დავამატებთ: სწავლა არასოდეს არ არის გვიან, და არც არასოდეს ყოფილა სირცხვილი. ასე რომ, საჭიროა სხვათა გამოცდილების ღრმა ანალიზი და შესაბამისი დასკვნების გამოტანა, თუმცა იმისთვის, რომ სხვისგან რაიმე გამოცდილება გადმოიღო და რეალურ ცხოვრებაში გამოიყენო, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კარგად მოიაზრო, თუ რა მდგომარეობაში იმყოფები, **რადგან მხოლოდ არსებული რეალობის ღრმა ანალიზს შეუძლია ამ რეალობის შეცვლა.** სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენი რეალობა ამჟამად ასეთია: დედაქალაქიდან სულ რაღაც ოციოდე კილომეტრის დაშორებით გადის სახელმწიფო საზღვარი იმ ქვეყანასთან, რომლის ქალაქებსაც წარმოადგენენ ვლადი(ექიკავკაზი, ვლადი(ექივოსტოკი და ვლად(ექიმირი და ჩვენივე ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების გამაღლებული მშენებლობა აქვთ გაჩაღებული.

ამჟამად ისე, როგორც არასოდროს, გვჭირდება ქვეყნის ინტელექტუალური ძალების გაერთიანება და ოფიციალურ დონეზე მიმართვა-დოკუმენტის მომზადება, სადაც მეცნიერულ დონეზე უნდა იქნეს დამტკიცებული, რომ ქვეყანაში არსებული სიტუაცია და ხელისუფლების საკმაოდ ბუნდოვანი სტრატეგია არ იძლევა საფუძველს სასიკეთო პროგნოზებისათვის და რომ აღებული კურსი სერიოზულ რისკებს შეიცავს, ანუ ბოლოს და ბოლოს, საჭიროა ეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და საზოგადოების შინაგანი ცხოვრების მოწყობა.

რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის ე. წ. სინგაპურიზაციას. მოდით, განვიხილოთ თუ რა წინააღმდეგობის გადალახვა უხდება ნებისმიერ უცხოელს იქ დამკვიდრებისათვის. სინგაპურში მხოლოდ საბინადრო მოწმობის ნებართვის მისაღებად საჭიროა ინვესტირება არანაკლებ 1,5 მილიონი სინგაპურული დოლარისა (ერთი მილიონი აშშ დოლარის შესაბამისი კურსიძ, ან პიროვნებამ უნდა დაამტკიცოს, რომ მას ხელზე აქვს ნაღდი ფულის სახით არანაკლებ ოცი მილიონი სინგაპურული დოლარი და მხოლოდ მთელი რიგი პროცედურების გავლის შემდეგ მიიღებთ საბინადრო მოწმობას. მოწმობის გაცემის დღიდან ზუსტად ორი წლის შემდეგ გეძლევათ უფლება მიმართოთ თხოვნით მოქალაქეობის მიღების თაობაზე. და მაინც არავითარი გარანტია არ არსებობს მისი მიღებისა, ანუ ბედნიერ შემთხვევას უნდა ელოდო. ასეთი შეზღუდვები აქვს ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანას, სადაც ხელისუფლება იცავს თავისი ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებსა და მის ღირსებას. ჩვენთან კი რა ხდება? როდემდის უნდა იყოს საქართველო უცხო წარმომავლობის ბოგანოთა თავშესაფარი (თითქოს საკუთარი მათხოვრები ან დევნილები გვაკლდესძ. აგერ 20 წელიწადია ადგილობრივი მოსახლეობა მასობრივად ტოვებს სამშობლოს და მათი შთამომავლები უკვე უცხოეთში იკეთებენ ბუდეს.

გერმანელი მეცნიერის რ. ფ. ტადდენის აზრით, თუ ქვეყნის მოსახლეობის 7-8 პროცენტი გადის საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში, მაშინ ერის წინაშე დგება იდენტურობის დაკარგვის საფრთხე. თვით ოფიციალური მონაცემებით დღეს საქართველოდან გასული ადამიანების რაოდენობა 20 პროცენტს აჭარბებს!

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ქართლ-კახეთის სამეფო კარის მრჩევლის ბრძენ სოლომონ ლიონიძის თაოსნობით მიღებული იქნა შემდეგი დადგენილება: — „რომ ევროპასა და რუსეთში წამსვლელთ უსათუოდ ცოლ-შვილი უნდა ჰყოლოდა, უცოლშვილოს ცოლი უნდა შეერთო და მერე წასულიყო, ცოლ-შვილი კი აქ უნდა დაეტოვებინა. უამისოდ წასვლის ნებას არ აძლევდნენ, სპარსეთსა და ოსმალეთში კი ნება ეძლეოდათ წასვლისა, რადგან იქ დარჩენის არაფერი ფიქრი ჰქონდათ“ (პლატონ იოსელიანი „სოლომონ ლიონიძე“ძ. ადრე ქართველები თავისუფლად მიმოდიოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში, მაგრამ შემდეგ ევროპასა და რუსეთთან ინტენსიური ურთიერთობის გამო გახშირდა შემთხვევები, როცა იქიდან ვაჭარ-ხელოსნები თუ თავადაზნაურობის წარმომადგენლები უკან აღარ ბრუნდებოდნენ, რაზეც სამეფო კარმა დროული და შესაბამისი რეაგირება მოახდინა. ასე და ამრიგად ცდილობდა ქართული სამეფო კარი მოსახლეობის მშობლიურ მიწა-წყალზე დამაგრებას და ბრძოლას ეთნოსის გადასარჩენად.

ჩვენი აზრით, ალბათ, საჭიროა მიღებული იქნას კონკრეტული ღონისძიებანი ამ მიმართულებით, რადგან არსებული სიტუაცია კარდინალური ზომების გატარებას მოითხოვს. და ბოლოს, სახელმწიფოს უსაფრთხოების კონცეფციებთან ერთად არსებობს **საზოგადოების უსაფრთხოების კონცეფციები**, რომელიც ევროპაში მეცნიერთა ჯგუფმა პირველად შეიმუშავა გასული საუკუნის 90-იან წლებში.

მედეა თავდიშვილი



### ვაი ჩვენს პატრონს, უბედურს!

# „ჰოპ-ოზიცია“!

**იმედია, ახალი ქართული განმარტებითი ლექსიკონის შემდგენელნი „სიტყვის კონაში“ შეიტანენ და შთამომავლობას არ დაუკარგავენ ამ ახლადაღმოჩენილ სიტყვა-მარგალიტს!**

მოგეხსენებათ, ალბათ, მისი პირველი ფრაზა რასაც ნიშნავს? ვინც არ იცის, შევახსენებ: — „ჰოპ, ჰოპ, ჰოპ“ აღმოხდება ხოლმე ადამიანს, როდესაც სკუპ-სკუპით მოძრაობს და არსად არ მიდის, უბრალოდ, ხალისობს! მერე, კვლავ უკან მოუბრუნდება გავლილ გზას და... ზოგს აშინებს ეს წაღმა-უკუღმა ბოდიალი, ზოგს ფეხებზე ჰკიდია ვინ სად და როგორ მიდის, ზოგიც სინანულს განიცდის უქმად გახარჯული „ჰოპ-ჰოპის“ გამო, ზოგსაც კიდევ გიჟებად და შერეკილებად მიაჩნიათ „ჰოპ-ჰოპისტები“! მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რა სახელი შეგვერქმია ასეთი „ჰოპ-ჰოპისტებისთვის“? „ჰოპ-ჰოპისტები“? „ჰოპ-ჰოპიანები“? „ჰოპ-ჰოპფანები“?.. საშიშ იყო, „ჰოპ-ჰოპისტები“ „კომუნისტებში არ აგვრეოდა და „უკანმოხედვა“ არ მოგვმდომებოდა! „ჰოპ-ჰოპიანები“? არა! შეიძლებოდა ხელოვანებში ან, ბანოვანებში შეშლოდა ვინმეს! „ჰოპ-ჰოპიანები“? არა! ხომ შეიძლებოდა, რომელიმე ქვეყნის დამახასიათებელ გვარებში შეშლოდა „ვინმე სხვას“ და აგორებულიყო საერთაშორისო სკანდალი? კი, შეიძლებოდა!..



და დასხდნენ ჩვენი ლინგვისტები და დაიწყეს ფიქრი! ბევრი იფიქრეს თუ ცოტა იფიქრეს, მიაგნეს ზედგამოჭრილ ტერმინს — „ჰოპ-ოპოზიცია“! პირველ რიგში ბგერათა ჯგუფი „ჰოპ“, პირდაპირი მნიშვნელობით თუ არა, ხასიათით მაინც გამოხატავს ნახტომს, ჩვენ, „სკუპი“ რომ შევარქვით ზემოთ! მეორეც, — „ოპოზიცია“ საერთაშორისო სიტყვაა და ოპოზიციას გამოხატავს მსოფლიო ზეპირსიტყვიერებაში! ასე რომ „ჰოპ“ („სკუპი“ძ ხტომას გამოხატავს, „ო-პოზიცია“ კი „მიმდევარს“ (ამა თუ იმ მოძღვრების მიმდევარს!ძ ასე რომ, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ამ ორი სიტყვის კავშირმა მოგვცა ახალი შინაარსი, „ჰოპ“ — ხტომა და „ოზიცია“ — ხტუნაობის მიმდევარი! მართალია, ამ ახალი შინაარსის სიტყვაში ერთი ასო-ბგერა „პ“ დაიკარგა და, როგორც გრამატიკის კანონ-თვისებაა, იმის მაგივრად, რომ გვქონოდა „ჰოპპოზიცია“ ერთმა „პ“-მ „შეჭამა“ მეორე „პ“ და, მივიღეთ „ჰოპ-ოზიცია“! მაგრები არიან ეს ლინგვისტები, ნახეთ, რა დიდებული და შინაარსთან ზედგამოჭრილი სიტყვა-ტერმინი ჩამოაყალიბეს!

ყოჩაღ ძმაო! თუმცა, თქვენ მაინც გაქვთ უფლება ეჭვი შეიტანოთ ამ განმარტებაში, მაგრამ გახსოვდეთ, ამ ტერმინში კიდევ ერთი გარემოება ჩანს, — სიტყვა „ჰოპოზიცია“ ისეთ ადამიანს თუ ადამიანების ჯგუფს ჰქვია, რომლებიც არაფრის მაქნისია და, უბრალოდ, თავის ჭიას ახარებს! იქნებ, ამაშიც შემედაოთ? კაი, ბატონო, თქვენი ნებაა, მაგრამ ფაქტები თვითონ რომ ლაპარაკობენ სათქმელს? ა, ბატონო დააკვირდით საქართველოში, ამ ბოლო ხუთ თუ ექვს წელიწადში „ამოქმედებულ“ „პოზიციის“ თუ „ოპოზიციის“ საგმირო საქმეებს და მერე შემედავეთ! გვყავდა ორი თუ, სამი, ე. წ. პარტია! დავიძახეთ ერთი „ჰოპ“ და... ხომ ხედავთ, ჩამოთვლაც კი, გაგიჭირდეთ? — სოცები, ნაცები, დემოკრატები, რესპუბლიკელები, მემარჯვენეები, მემარცხენეები, გაერთიანებულები, გაუერთიანებლები, მწვანეები, თეთრები, წითლები, ყვითლები, შავები (დიახ, შავებიც!ძ ჯანდაბები და ოხრები და ყველა მათ „ჰოპ-„ჰოპის“ ძახილში ეძლევათ ფული და ვერცხლი, და ამ „ვერცხლმა“ „ჩაუხლიჩათ“ ხმა! ხმაჩახლეჩილებმა კი ვერ უშველეს „კაცობრიობას“! ვერ უშველეს, რადგან, ხომ გახსოვთ, „შვიდმა ვერცხლმა“ რა უყო ქვეყანას? ეძლევათ „ვერცხლი, და შე კაცო, ვინაა ისეთი სულელი, ასეთ სიკეთეზე უარი თქვას? კი, ბატონო, შეიკრიბებიან ხანდახან, მოაქუჩებენ „ფარას“, კიკინითა და ბღავილით გაატარებენ შარაზე და გადადექი, გადადექის საპასუხოდ, სამიდან ერთს, ან ორს რომ მიიღებენ, კვლავ ხრიოკ ველზე გაყრიან პირში ჩალაგამოვლებულ „ცხვარს“... გაყრიან, მაგრამ ისე, უბრალოდ კი, არა! — აი, ისე, სკუპ-სკუპითა და ხტუნვა-ხტუნვით! და „ფარას“ დიდი „ჰოპ-ჰოპ“ ვქენითო!

მაგრამ ამ „ჰოპს“ ნახტომი რომ არ მოჰყვება? ამიტომ მიგვაჩნია ეს ჩვენი ოპოზიცია „ჰოპ-ოზიცია“! მოდით და შემედავეთ! არაა ასე? აბა! ასე და, ამიტომაც ამბობენ, „ვაი, თქვენს პატრონსო“! არადა, არ იცის ხალხმა და ამიტომ მოგვიხდა ამხელა ლინგვისტური გამოკვლევის ჩატარება, რომ იმავე ხალხამდე მიგვეტანა „ჰოპ-ოზიციის“ განმარტება!

მეტს ვერაფერს გეტყვით, დანარჩენს განმარტებითი ლექსიკონის ბოლო ტომში იხილავთ, ასო-ბგერა „ჰაე“, ხომ, ბოლოშია! ოღონდ, ერთი შეკითხვა მე თვითონ გამიჩნდა, — არის კი, ოპოზიცია ჩვენს ქვეყანაში? თუ, ისევ „ჰოპ-ოზიციის“ იმედი გვაქვს?

ვაი ჩვენს პატრონს, უბედურს, ამათ შემხედვარეთ!

ზაალ ფილფანი,
„ჰოპ“ ლინგვისტიკის პროფესორი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისკენ მიმავალი გზიდან საქართველო არ გადავა

**9 მარტს ბერნში რუსმა და ქართველმა დიპლომატებმა დაიწყეს საკითის განხილვა რუსეთის შესვლის შესახებ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. თბილისმა, რომელიც დაბეჯითებით მოითხოვს საკუთარი საბაჟო კონტროლის დაწესებას აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის რუსეთის ფედერაციასთან საზღვარზე, გამოაცხადა, რომ მზად არის კომპრომისისთვის. როგორც ჩვენმა გაზეთმა გამოიკვლია, დათმობად საქართველო მიიჩნევს საზღვრისპირა ტერიტორიებზე ევროპელი კონტროლიორების გამოჩენას. მოსკოვი ამას კატეგორიულად არ ეთანხმება. ასეთ პირობებში რუსეთის ფედერაციის პროცედურების წარმატებით დამთავრების პერსპექტივა, რაც აუცილებელია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესასვლელად, ბუნდოვანი ხდება.**

ბერნში შეხვედრაზე, რომელსაც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში ურჩევნიათ უწოდონ საკონსულტაციო, მონაწილეობენ ორი ქვეყნის ეკონომისტები და დიპლომატები. რამდენ ხანს გაგრძელდება მათი ურთიერთობა — ამას არ აზუსტებენ. სამაგიეროდ ცნობილია მოლაპარაკების საგანი: რუსეთის ფედერაციის შესვლა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. საქართველოს მიმართულება ერთადერთია, სადაც მოსკოვისთვის არსებობს დაბრკოლება ამ ორგანიზაციის წევრობისკენ მიმავალ გზაზე და ამ მიმართულებას სხვაგვარად, თუ არა გადაულახავს, ვერ უწოდებ.




თბილისის პოზიცია აქამდე აგებული იყო ულტიმატურ თხოვნაზე, დაკანონდეს საქართველოს საბაჟო და საკონტროლო-გამტარი პუნქტები რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე. ამასთან დაკავშირებით მოლაპარაკება დაიწყო ჯერ კიდევ 1999 წელს, უმალვე მას შემდეგ, რაც საქართველო გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, მაგრამ მოლაპარაკებამ შედეგი ვერ გამოიღო — მოსკოვი არ ეთანხმებოდა წამოყენებულ პირობებს. სამხრეთ ოსეთში 2008 წლის ომისა და რუსეთის ფედერაციის მიერ ამ რესპუბლიკისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის ალიარების შემდეგ სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა. საქართველო და დანარჩენი მსოფლიო, რუსეთის, ვენესუელის, ნაურუსა და ნიკარაგუას გარდა, არ ალიარებენ სოხუმისა და ცხინვალის სუვერენიტეტს, მოითხოვენ საზღვრისპირა პრობლემების გადაჭრას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პოზიციიდან.

მაგრამ ბერნში შეხვედრის წინა დღეებში საქართველომ გვაგრძნობინა, რომ მზად არის გამოიჩინოს მოქნილობა. „ჩვენ შევეცდებით მოვძებნოთ ვარიანტები. ერთ-ერთი ასეთი ვარიანტია დნესტრისპირეთისა. მე ასე მესმის, რომ დისკუსია გაიმართება ამ კალაპოტში", — განუცხადა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს საქართველოს პარლამენტის საერთაშორისო საკითხების კომიტეტის ხელმძღვანელის მოადგილემ გიორგი კანდელაკმა.

დნესტრისპირეთის ვარიანტი გულისხმობს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის საზღვრების საგარეო პერიმეტრის მონიტორინგს საერთაშორისო ორგანიზაციების ან ევროკავშირის მისიის მიერ. ეს სქემა შემოწმებულია და მუშაობს დნესტრისპირეთში. ულიარებელი რესპუბლიკის ხელისუფლება უკრაინასთან საზღვარზე არ უშვებს მოლდოველ მებაჟეებს, მაგრამ იქ, კიშინიოვთან და კიევთან შეთანხმების თანახმად, მოქმედებს საერთაშორისო მისია.

„ჩვენ ვთავაზობთ რუს კოლეგებს გამოიყენონ დნესტრისპირეთის ვარიანტი, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები აწარმოებენ მონიტორინგს სეპარატისტული ანკლავის საზღვრის საგარეო პერიმეტრიდან. ესე იგი, ჩვენ თანახმა ვართ, რომ საზღვარს აკონტროლებდნენ საერთაშორისო წარმომადგენლები, როგორც ეს მოლდოვასთან, დნესტრისპირეთთან და უკრაინასთან ხდება", — განმარტა წყარომ საქართველოს მთავრობაში.

სხვათა შორის, საქართველოს თვალსაზრისით კომპრომისულ ვარიანტს რუსეთში ასეთად არ მიიჩნევენ, ხოლო თბილისის მოთხოვნებს — დაუშვან რუსეთის ფედერაციის საზღვარზე აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ქართველი მებაჟეები — სავსებით არარეალისტურს უწოდებენ.

„ბერნში საქართველოს მხარე შეეცდება მიაღწიოს მებაჟეების დაყენებას რუსეთთან აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის საზღვრის მონაკვეთებზე. ეს შეუძლებელია. ამის შესახებ უნდა გველაპარაკონ არა ჩვენ, არამედ ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს (აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთისძ ხელისუფლებას", — განაცხადა ჩვენს გაზეთთან საუბარში მაღალი რანგის წარმომადგენელმა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

დიპლომატი დნესტრისპირეთის ვარიანტსაც მიიჩნევს შეუსრულებლად. „განა ევროკავშირის მისიას შეუძლია იმყოფებოდეს, ვთქვათ, აფხაზეთის საზღვარზე და არ ჰქონდეს ურთიერთობა აფხაზეთის ხელისუფლებასთან, რომელიც ევროკავშირის მიერ არ არის ალიარებული?" — სვამს საკითხს ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან მოსაუბრე. ამას გარდა, მისი სიტყვებით, დნესტრისპირეთისა და უკრაინის საზღვარზე მიმდინარეობს ძლიერი საქონელბრუნვა, რაც არ შეინიშნება რუსეთის ფედერაციასთან აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის საზღვარზე. ასე რომ, ყოველივე ამას არ აქვს არანაირი ურთიერთობა იმ საკითხებთან, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან, — ასკვნის დიპლომატი. — როგორ შეიძლება მოხდეს კომპრომისი — გაურკვეველია. უნდა გავიგოთ, რა სურთ ქართველებს, მაგრამ მათი მოთხოვნებიც უნდა იყოს რეალისტური".

ქართველ ექსპერტებსაც არ სჯერათ საქართველოს მიერ შემოთავაზებული სცენარის პერსპექტივები. „დნესტრისპირეთი — განსაკუთრებული შემთხვევაა: რუსეთის ფედერაციას არ ულიარებია ეს რესპუბლიკა, — განაცხადა ჩვენთან საუბარში პოლიტოლოგმა გიორგი ხუხაშვილმა. — თუ რუსეთი დათანხმდება ასეთ ვარიანტს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის შემთხვევასთან დაკავშირებით, ეს, არსებითად, იქცევა მათი ალიარების შესახებ თავისი გადაწყვეტილების დეზავიურებად. მოსკოვი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესასვლელად ასეთ საფასურს არ გადაიხდის".

Коммерсантъ

# ირაკლი სესიაშვილი: „ლიბიაში უცხო ქვეყნის ჯარების შეყვანა საქართველოსთვის პირდაპირი რისკის შემცველია"

**უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტ ირაკლი სესიაშვილის აზრით, „ლიბიაში სხვა ქვეყნის ჯარის შეყვანა საქართველოსთვის პირდაპირი საფრთხის მატარებელია".**

როგორც „პირველს" სესიაშვილმა განუცხადა, **„ლიბიაში ჯარის შეყვანა მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზეა გამართლებული, თუმცა ასეთი გადაწყვეტილების მიღებას რუსეთი არ დაუშვებს".**

**„სხვა ქვეყნის ან ნატოს ჯარების შეყვანა ლიბიაში ძალიან სახიფათო პრეცედენტს შექმნის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს გადაწყვეტილება გაეროს უშიშროების საბჭოს ფორმატში რეზოლუციის საფუძველზე იქნება მიღებული, თუმცა რუსეთის მხარემ უკვე განაცხადა, რომ ასეთი რეზოლუციის მიღების წინააღმდეგი იქნება და ვეტოს უფლებას გამოიყენებს. ეს ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლიბიაში მიმდინარე პროცესები რუსეთს ხელს აძლევს, ვინაიდან ნავთობის ფასი იზრდება და ამით სწორედ რუსეთი ნახულობს სარგებელს. იმ შემთხვევაში, თუ აშშ ან ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ლიბიაში ძალის გამოყენებას ცალმხრივად გადაწყვეტენ, ეს ზოგიერთმა ავადმოაზროვნე სახელმწიფომ მომავალში შესაძლოა, სათავისოდ გამოიყენოს. კერძოდ, თუ რომელიმე პოსტსაბჭოთა ქვეყანაში რევოლუცია ან სხვა სახის შიდადაპირისპირება დაიწყება, ზემოაღნიშნული პრეცედენტის საფუძველზე, შეიძლება, ძალა რუსეთმაც გამოიყენოს და სხვა ქვეყნის საშინაო საქმეში უხეშად ჩაერიოს",** — განაცხადა სესიაშვილმა და აქვე დასძინა, რომ **„ლიბიაში უცხო ქვეყნის ჯარების შეყვანა საქართველოსთვის პირდაპირი რისკის შემცველია".**



ნინო ჩიჩუა

პირველი

## დედამიწის ზურგზე



**ძლიერი მიწისძვრა ჩინეთში: დაიღუპა 7, დაიჭრა 120 კაცი**

მიწისძვრა 5,8 ბალის მაგნიტუდით მოხდა იუნანის მაზრის ინძიანის პროვინციაში. პირველი ბიძგის შემდეგ იყო კიდევ სამი 4,7, 4,5 და 3,6 ბალის მაგნიტუდით. ბიძგები პერიოდულად მეორდება. სტიქიის შედეგად დაინგრა სახლები, ამას გარდა თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ ნაწილობრივ ჩამოინგრა სუპერმარკეტის შენობაც.

* * *

**პოლონეთმა გამოააშკარავა ბელარუსის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტი „ვიკილიკსის" ყალბი „ამბების" გავრცელებაში**



დოკუმენტები, რომლებიც ფორმით ჰგავანან „ვიკილიკსის" საიტზე გამოქვეყნებულს, ანონიმურად იგზავნება პოლონეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. მათში ამტკიცებენ, რომ ვარშავა ერევა ბელარუსის საშინაო საქმეებში. მაგრამ ეს „დეპეშები", როგორც ჩანს, ყალბია. უფრო ადრე ლუკაშენკომ ბრალი დასდო პოლონეთს სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაში.

* * *

**აშშ-ს კონგრესში წარადგინეს მოთხოვნა, დაიწყონ ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან**



ამ საკანონმდებლო ღონისძიების ინიციატორად გამოვიდა დემოკრატი კონგრესმენი დენის კუსინიჩი, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე რადიკალურ ლიბერალად ითვლება. ადრეც იჩენდა იგი ამგვარ ინიციატივას, მაგრამ კონგრესის უმრავლესობის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.

* * *

**მაროკოს მეფემ გამოაქვეყნა საკონსტიტუციო რეფორმის მასშტაბური გეგმა**

ერისადმი თავის მიმართვაში მოჰამედ VI განაცხადა, რომ მზად არის მიანიჭოს ძლიერი იმპულსი ქვეყანაში უკვე მიმდინარე ღრმა რეფორმების დინამიკას. მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელს დანიშნავს არა მონარქი, არამედ მას დაასახელებენ პარლამენტის არჩევნებში გამარჯვებული პარტიების რიგებიდან. განმტკიცდება სასამართლო სისტემა და ადამიანის უფლებები.



## თითქოს ციდან მიწაზე ჩამოსული ანგელოზი

# „მხოლოდ დროდადრო დამარეტიანოს“...

## ლეგენდები და სინამდვილე ქვაშვეთის ტაძარზე

პოეტებისა და მხატვრების მიერ მრავალგზის შემკული და აღზევებული ქვაშვეთის ტაძარი დიდი ხანია იქცა დედაქალაქის რუსთაველის პროსპექტის სიმბოლოდ. თეთრი ქვით ნაგები ეს ღვთის სალოცავი ქალაქის არა მხოლოდ განუყოფელი ნაწილი, არამედ ქართველი ხალხის ერთ-ერთი სიწმინდეც არის. თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ქვაშვეთის ეკლესია, თითქოს ციდან მიწაზე ჩამოსული ანგელოზი, იფარავდა მის მცხოვრებლებს, თესავდა მათს სულებში სიკეთის, სიყვარულისა და მოწყალების თესლს.

ყოველდღიურად, დილიდან გვიან საღამომდე, ტაძარში ასობით მორწმუნე მოდის. მოდიან ტკივილებით, მწუხარებით, იდუმალი ფიქრებით, დიდი იმედებით, მიდიან გაბრწყინებულნი, იმედიანები, ბედნიერები. ათობით უცხოელი სტუმარი უდიდესი ინტერესით ადევნებს თვალყურს მართლმადიდებლური ნათვლის საიდუმლოებებს, ეცნობა ქვაშვეთის სიწმინდეებსა და შედევრებს.

სიწმინდეები და შედევრები კი აქ ლამის უთვალავია: წმინდა გიორგის უნიკალური ხატი, ღვთისმშობლის ბეთანიის ხატი, წმინდა ნიკოლოზის სასწაულთმოქმედი ხატი, უფლის ხელთუქმნელი ხატი. უბრალოდ, გასაოცარია ის, რაც ამ ხატთან დაკავშირებით მოხდა. ერთხელ, მორიგი დასუფთავების დროს, ხატი ჩამოცურდა ანჯამიდან და ჩამოვარდა. როდესაც მისი ძველ ადგილზე დაბრძანება მოინდომეს, სასწაულის მოწმენი აღმოჩნდნენ: უფლის სახე ზუსტად ასახულიყო სახატის მინაზე. დღეს ძველი სახატე ჰკიდია ძველ ადგილას, ხატი კი – მის პირდაპირ. ამგვარი რამე მსოფლიოში მეტად იშვიათად ხდება.

„თავდაპირველად იყო სიტყვა“... ეკლესიის მისია მრევლში – ეს არის ლოცვა, ადამიანების აღზრდა, მოწყალება. ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც ღვთის სიტყვა მიაქვს ხალხში, გახლავთ მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახური მამა მიქაელი, ერისკაცობაში – ფოფხაძე. ის 58 წლისაა. ძირძველი თბილისელი, ვის გვარშიც ბევრი იყო მღვდელი. მან დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამ ცოტა ხნის წინათ – გასული წლის ოქტომბრის ბოლოდან – დეკანოზი მიქაელი წმინდა ანდრია პირველწოდებულის ეკლესიიდან, რომელიც უფრო ცნობილია, როგორც „ლურჯი მონასტერი“ (XII-XVII საუკუნეები), გადმოიყვანეს ქვაშვეთის ეკლესიაში წინამძღვრად. სხვათა შორის, ბევრმა არ იცის, რომ 30-იან წლებში ბოლშევიკები ქალაქის ამ ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ტაძარს დანგრევას უპირებდნენ. ამ ეკლესიის მრევლის ერთ-ერთი მუდმივი წევრი მაშინ იყო ღრმად მორწმუნე მართა ჯაყელი, რომელმაც დახმარებისთვის დაუყოვნებლივ მიმართა თავის ყოვლისშემძლე შვილს – ლავრენტი ბერიას...

მამა მიქაელის ქვაშვეთის ეკლესიის წინამძღვრად დანიშვნა დაემთხვა ქართული მართლმადიდებლური ხუროთმოძღვრების ამ მრავალსაუკუნოვანი ძეგლის მშენებლობის დაწყების, უფრო სწორად, გასაოცარი განახლების ასი წლისთავს. ამ მნიშვნელოვან თარიღს მიეძღვნა სპეციალური გამოფენა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, გაიმართა სამეცნიერო და საერო სხდომები.

ქვაშვეთის ტაძრის განახლების საუკუნოვანი იუბილე წლის ბოლომდე გაგრძელდება. ჯერჯერობით კი, მოდით, ვისაუბროთ ამ ისტორიული ტაძრის ლეგენდისა და სინამდვილის შესახებ. უწინარეს ყოვლისა, თავს ნებას მივცემ, სიცხადე შევიტანო ტაძრის სახელწოდებაში. ჩვენში მას ბევრი იცნობს, როგორც ქაშვეთის ან ქაშუეთის ეკლესიას. ამ სახელწოდებითაა იგი მოხსენიებული მასმედიის მასალებში, სამეცნიერო შრომებში, ლექსებსა და პოემებში. ზოგიერთი პარალელსაც კი ავლებს ეკლესიის სახელწოდებასა და სვანეთის სოფელ ქაშვეთს შორის. ამ ძველი ტაძრის სწორი სახელწოდება კი გახლავთ – ქვაშვეთის დიდმოწამე წმინდა გიორგის ეკლესია.

ტაძრის საკურთხეველში, კედელზე მიკრულია თითბრის ფირფიტა, რომელზეც მითითებულია, რომ ტაძარს ეწოდება ქვაშვეთისა და აგებულია 1904-1910 წლებში კალისტრატე ცინცაძის ხელმძღვანელობითა და მზრუნველობით. სხვათა შორის, აქვე ჩამოთვლილია მღვდელმსახურთა და ტფილისის მორწმუნე დიდგვაროვანთა სახელები, ვინც მას ეხმარებოდა ამ დიდად კეთილშობილურ საქმეში. და აი, უკვე 100 წელია, რაც ახალი ქვაშვეთის ტაძარი ემსახურება სიკეთეს, ურთიერთგაგებას, მშვიდობას.

ახლა კი მივმართოთ ტაძრის ლეგენდებსა და სინამდვილეს, რომლის ისტორიასთანაც დაკავშირებული არიან მართლმადიდებლობის გამოჩენილი მსახურები, საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწენი.

თუ ტაძრის ნუსხას მივმართავთ, მისი სათავე V საუკუნის ბოლოსთან ან VI საუკუნის დასაწყისთან მიგვიყვანს. წმინდა გიორგის ეკლესიის დაარსების ზუსტი თარიღი უცნობია, მაგრამ ცნობილია თაობებში მომდინარე ლეგენდა იმის შესახებ, რომ ცამეტი სირიელი მამიდან ერთ-ერთი – ღირსი მამა დავითი მოვიდა ანტიოქიიდან V საუკუნის ბოლოს. წმინდა მამა ქადაგებდა მთაწმინდის მღვიმეში, სადაც ამჟამად მოქმედებს მისი სახელობის ეკლესია.



მამა დავითი ქადაგებას ეწეოდა ხუთშაბათობით დღევანდელი ტაძრის ადგილზეც, სადაც წმინდა გიორგის ეკლესიის მახლობლად იყო დედათა მონასტერი. ქრისტიანობა მეფე მირიანის მიერ კი იყო გამოცხადებული სახელმწიფო რელიგიად, მაგრამ ზოგან მას წინააღმდეგობას უწევდნენ კერპთაყვანისმცემლები.

რათა სახელი გაეტეხათ მამა დავითისთვის, რომელიც სულ უფრო და უფრო ავტორიტეტული და პოპულარული ხდებოდა მორწმუნეთა შორის, მკიცხავებმა მოისყიდეს ვიღაც მონაზონი, ბრალი დაედო მამა დავითისთვის მის ცდუნებაში. და როდესაც ფეხმძიმე ქალმა ხალხის თანდასწრებით განაცხადა, რომ მამა დავითი არის მისი მომავალი შვილის მამა, ლეგენდარული სირიელი თავისი კვერთხის ბოლოთი შეეხო ფეხმძიმე ქალის მუცელს და ხმამაღლა წარმოთქვა: „შვილო, ვინ არის შენი მამა?“ და მოულოდნელად, ყველას გასაგონად მონაზვნის მუცლიდან მოისმა ხმა: „არა, შენ არ ხარ მამა, ის ვიღაც მჭედელია“. აღელვებულმა ხალხმა, მიუხედავად მამა დავითის თავგანწირული თხოვნისა, ჩაქოლა ქალი. ცხედარი იქვე დატოვეს, ორ დიდ ქვას შორის. აქედან მოვიდა კიდეც წმინდა გიორგის ეკლესიის სახელწოდება – ქვაშვეთი (ორ ქვას შორის). არის ამ ლეგენდის სხვა ვერსიებიც, მაგრამ ზემოთქმულის არსს ისინი არ ცვლიან.

აქ მთავარია ის, რომ წმინდა გიორგის სახელი ჩვენი ეპოქის 303 წელს, ე.ი. საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ აღიარებამდე ცოტა ხნით ადრე, უკვე ისე პოპულარული და პატივსაცემი იყო, რომ მის სახელზე ააგეს ეკლესია. ამიტომ შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ V საუკუნის ბოლოს ან VI საუკუნის დასაწყისში თბილისის მიდამოებში უკვე აიგო წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, მისი მფარველობით კი – დედათა მონასტერი, სადაც მოხდა ის ამბავი, რომელიც ჩვენამდე ასეთი გამაოგნებელი ლეგენდის სახით მოვიდა. სწორედ მას შემდეგ აქ რამდენჯერმე აშენდა წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც რამდენჯერმე გადააკეთეს კიდეც და ჩვენამდე მოვიდა ქვაშვეთის სახელწოდებით...

როგორიღაა ღირსი მამის ბედი? მან ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შეასრულა განსაკუთრებული როლი და შევიდა მასში, როგორც დავით გარეჯელი. ზემოაღნიშნული შემთხვევის შემდეგ მამა დავითმა თავის ერთგულ მოწაფეებთან ერთად დატოვა ტფილისი და გაემგზავრა კახეთში. კლდოვანი მთების ერთ-ერთ გამოქვაბულში გააგრძელა მან თავისი კეთილშობილური საქმე. ასე ჩაეყარა საფუძველი მომავალ დავით გარეჯის მონასტერს, რომელიც დროთა განმავლობაში გახდა საქართველოს დიდი რელიგიურ-კულტურული ცენტრი. ის დღეს მთელს ქრისტიანულ სამყაროშია ცნობილი.

ქვაშვეთის ტაძარი რამდენჯერმე გადააკეთეს: ის იყო ხისაც, ქვისაც. 1753 წლის 25 აპრილს ამილახვარების ცნობილი საგვარეულოს წყალობით ძველის ადგილას აიგო ახალი – ქართული აგურისაგან, მაგრამ დროთა განმავლობაში ისიც მოძველდა. ახალი ვრცელი ტაძრის მშენებლობის იდეა 1837 წელს გაუჩნდა ქვაშვეთის ტაძრის მაშინდელ წინამძღვარს დეკანოზ მარკოზ ტყემალაძეს. მალე შეიქმნა ახალი ტაძრის მშენებლობის კომიტეტი ლეგენდარული მხედართუფროსის, გენერალ-ადიუტანტ ივანე გივის ძე ამილახვარის მეთაურობით, ვისი მამაც ეხმარებოდა წინა ტაძრის მშენებლობას.

ამ კეთილშობილური საქმის საერთო ხელმძღვანელობა და მზრუნველობა დააკისრეს სრულიად საქართველოს მომავალ კათოლიკოს-პატრიარქს კალისტრატე ცინცაძეს (1866-1959 წ.წ.), რომელიც 1903 წლიდან იყო ქვაშვეთის ტაძრის მღვდელი, ცხოვრობდა იქვე, ეზოში. დღევანდელი ტაძრის პირველი ქვაკუთხედი ჩაიდო 1904 წლის 31 ოქტომბერს. დიდებული განახლებული ტაძრის პირველ წინამძღვრად დაინიშნა უგანათლებულესი ღვთისმსახური კალისტრატე ცინცაძე.

პროექტის ავტორი გახლდათ გუბერნიის არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდი, რომელმაც ნიმუშად შეუდარებელი სამთავისის (XI საუკუნე) ტაძარი აიღო. მანვე დეკორატიულ სამუშაოებში ჩართო ანჟელო ანდრეოლეტი. ყველა, ვინც თუნდაც ერთხელ ყოფილა ქვაშვეთის ტაძარში, არ შეიძლებოდა არ მოხიბლულიყო ქვაზე ფილიგრანული კვეთის ნიმუშებით, რომლებიც ამშვენებენ მის გარეგნულ იერს. ძნელად რომ მსგავსი რამ იხილო დღეს თბილისში, სადაც ასზე მეტი მოქმედი ეკლესიაა.

ქვაზე ნაკვეთი გასაოცარი ხვეულები, ტაძრის ექსტერიერს რომ ამშვენებენ, შესრულებულია დიდებული ოსტატების, ამბროლაურელი ძმების – ნეოფიტე, ნიკო და ლავრენტი აღლაძეების მიერ. ისინი მაშინ ანჟელო ანდრეოლეტის თბილისის სახელოსნოში სწავლობდნენ. სხვათა შორის, ნეოფიტე აღლაძემ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ასწავლიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, თავისი ოქროს ხელი და კეთილი გული არ დააკლო არც ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შედევრს – სვეტიცხოველს, სადაც აღადგინა ბევრი დაზიანებული ადგილი.

მშვენიერია ტაძრის მოხატულობა შიგნიდან, მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, ტაძარი მხოლოდ ნაწილობრივაა მოხატული. უფროსი თაობის ხალხს კარგად ახსოვს, რომ დიდმა მხატვარმა და გრაფიკოსმა ლადო გუდიაშვილმა (1896-1980 წ.წ.) გასული საუკუნის ორმოციანი წლების მეორე ნახევარში მოხატა ტაძრის საკურთხეველი.

მქონდა ბედნიერება, ბატონი ლადოსგან, როგორც იტყვიან, პირველი პირისგან, მომესმინა ქვაშვეთის მოხატვის ისტორია. 1946 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ სთხოვა ლადო გუდიაშვილს, რომელიც ტაძართან ახლოსაც ცხოვრობდა და ხშირად მოდიოდა ხოლმე იქ, მოეხატა ქვაშვეთი, რაზეც მხატვარი დიდი ხანია ოცნებობდა. ლადო გუდიაშვილმა კოლოსალური სამუშაო შეასრულა, გამოიყენა მცენარეული საღებავების ძველი რეცეპტები, მთელი დღეები თავდავიწყებით შრომობდა თაღის მაღალ ჭერქვეშ (27,7 მეტრი). შექმნა უამრავი წინასწარი ესკიზი და ჩანახატი, რომელთაგანაც თითოეული შეიძლებოდა გამხდარიყო ნებისმიერი მუზეუმის დამამშვენებელი. ის, რასაც დღეს ჩვენ ტაძარში ვხედავთ – საკურთხევლის ძირითადი სივრცის მოხატულობას – მხატვარმა დაასრულა ცხრა თვის განმავლობაში (!), თანაც ამ დროს მას ეხმარებოდა მხოლოდ ორი მხატვარი – შალვა აბრამიშვილი და არსენ ფოჩხუა.

ღვთისმშობლის სახეში, რომელსაც ხელში ჩვილი იესო უჭირავს, გარს კი ახვევიან ვაზი და მოფარფატე ანგელოზები, მოცემულია ქართველი ქალის განზოგადებული სახე. ღვთის ძის პროტოტიპად კი საიდუმლო სერობაში გამოყვანილია ლადო გუდიაშვილის საყვარელი მოსწავლე, მომავალში საქართველოს სახალხო მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილი. ის მართლაც ჰგავდა ღვთის ძეს (სხვათა შორის, უჩა ჯაფარიძე ბიძინა ავალიშვილს იყენებდა ბესიკის პორტრეტის ხატვის დროს). მოციქულის სახით, რომელიც იესო ქრისტესგან ღებულობს პურს, ლადო გუდიაშვილმა წარმოგვიჩინა საქართველოს ეკლესიის მეთაური კალისტრატე ცინცაძე, მეორე მოციქულისა კი – ეპისკოპოსი დიმიტრი ლაზრიშვილი, რომელიც კალისტრატე ცინცაძის კათოლიკოს-პატრიარქად არჩევის შემდეგ 1932 წელს, გახდა ამ ტაძრის წინამძღვარი.

კვლავ დიდად სამწუხაროდ, ქვაშვეთის მოხატვის დამთავრების საშუალება იმჟამინდელმა ხელისუფლებამ ლადო გუდიაშვილს არ მისცა. უფრო მეტიც, დიდ მხატვარს დევნაც კი დაუწყეს, ყოველნაირად ცდილობდნენ მის შევიწროებას. დიახ, იყო ასეთი დრო...

დღეს ქვაშვეთის ტაძარი, სიონის ეკლესიასთან ერთად, ქართული მართლმადიდებლობის 16-საუკუნოვანი სიწმინდეა. ქვაშვეთის ტაძარი საქართველოში (თუ მხედველობაში არ მივიღებთ წმინდა სამების საკათედრო ტაძარს) ერთადერთი ორსართულიანია: ზედა სართული – წმინდა გიორგის ეკლესიაა, ქვედა კი – წმინდა დიდმოწამის მარინეს ეკლესია. ეს დიდებული ტაძარი იტევს მრევლს 600 კაცზე მეტი ოდენობით. ღვთის მსახურებას აქ ცხრა დეკანოზი და რამდენიმე დიაკვანი ასრულებენ. დეკანოზი ხვთისო შალიკაშვილი ყველაზე უფროსია ასაკით. ის 73 წლისაა. მას სამი შვილი და ექვსი შვილიშვილი ჰყავს. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, შემდეგ სწავლობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში. თითქმის მეოთხედი საუკუნეა მსახურობს იგი ქვაშვეთის ტაძარში, დაჯილდოებულია წმინდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენით. მისი ინიციატივითა და მხარდაჭერით აგებულია რამდენიმე ეკლესია, მათ შორის გარდაბანში და ქ.თბილისის ებრაელთა ძველ უბანში.

მეორე „ძველმოსახლეა“ დეკანოზი ელიზბარ ოდიშვილი. როგორც მამა ხვთისო, ისიც დუშეთის რაიონიდანაა. 55 წლისაა. არის სამი შვილის მამა და ოთხი შვილიშვილის პაპა. დაამთავრა მცხეთის სასულიერო სემინარია. მიღებული აქვს დეკანოზების უმაღლესი ჯილდო – მოკაზმული ჯვარი. მახსოვს, ოცი წლის წინათ მამა ელიზბარი და მე ვითვლიდით ტყვიების კვალს ქვაშვეთის ფასადზე, 1991 წლის 22 დეკემბრის ტრაგიკული ღამის უაზრო ძმათამკვლელი სროლების შემდეგ. მაშინ ჩვენ 237 (!) ნატყვიარი დავითვალეთ.

მამა ელიზბარის დამსახურებაა იმ რთულ დროს კარიბჭის მშენებლობა რუსთაველის პროსპექტის მხრიდან (რაშიც მას დიდ დახმარებას უწევდნენ ნიკო ლეკიშვილი და ზურაბ ბიბილეიშვილი), გალავნის აღდგენა წინანდელი სახით, სამრეკლოს აშენება, ტაძრის ტერიტორიის გაფართოება, საკვირაო სკოლის, სატრაპეზოს, სახელოსნოების მოწყობა და სხვა.

და დღეს ქვაშვეთის ტაძარი, როგორც ძველ დროს, არის ყველასთვის საყვარელი და პატივსაცემი რუსთაველის პროსპექტის ნამდვილი მშვენება. ზუსტად 70 წლის წინათ ლადო ასათიანმა ჩვენი ქალაქის ამ ორ მუზას მიუძღვნა თავისი ცნობილი ლექსი:

**„რუსთაველის პროსპექტზე**
**სიარული**
**ნუ მომიშალოს ღმერთმა...**
**მხოლოდ დროდადრო**
**დამარეტიანოს**
**ქაშვეთის შემოხედვამ –**
**რუსთაველის პროსპექტზე სიარული**
**ნუ მომიშალოს ღმერთმა!“**



**ლევან დოლიძე,**
საქართველოს
დამსახურებული
ჟურნალისტი

კალათბურთი

# პროგნოზს ვერავინ გარისკავს

**წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატი წინამორბედთაგან გუნდების დონის გათანაბრებითა და თითქმის ყოველი მატჩის დაძაბული სიუჟეტით გამოირჩევა, მაგრამ მორიგი ტური მაინც განსაკუთრებულია, რადგან დღეს და ხვალ ისეთი შეხვედრები იმართება, კაცმა არ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები.**



**„ბათუმი“ — „სოხუმი“**

ზღვისპირული დერბის თითოეულ მონაწილეს საკუთარი ღირსებები გააჩნია, რაც უშეღავათო ბრძოლის წინაპირობა უნდა გახდეს. თანაც, როგორც მასპინძელს, ისე სტუმარს მოტივაციას ახალი მწვრთნელის ფაქტორი უმძაფრებს (მიხეილ კოზეშავიძე, აინარს ბაგატსკისი).

ასეთ შემთხვევაში, წესით, უპირატესობა ლონიერი პატრონითა და კვალიფიციური ლეგიონერებით ზურგგამაგრებულ დევნილთა კლუბს უნდა მიენიჭოს, მაგრამ, ვფიქრობთ, ამჯერად პროგნოზისგან თავი უნდა შევიკავოთ.

**სტუ — შსს**

ეს მატჩი რომ სეზონის პირველ ნახევარში გამართულიყო, ძალოვნები უპრობლემოდ მოიპოვებდნენ წარმატებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ტექნიკოსთა თავკაცი ზურაბ ტომარაძე გახდა, ისინი ყველასათვის ანგარიშგასაწევი ძალა გახდნენ.

მათი პროგრესის ფონზე დამაფიქრებელია ერთ-ერთი ლიდერის მიერ ამ ბოლო დროს რატომღაც გაფერმკრთალებული თამაში, თითქოს შსს-ს გუნდის ღირსებას ისევ ისინი იცავენ, სტარტზე რომ ზედიზედ იგებდნენ შეხვედრებს. დაუმატეთ ამას ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ გამოცდილი მწვრთნელით დავით უსტიაშვილით გაძლიერება. ვიმედოვნებთ, იგი მალე დაატყობს ხელს თავის ახალ გუნდს.

**თსუ — „არმია“**

აი, ეს კი მართლაც არა მარტო ტურის, არამედ სუპერლიგის ცენტრალური დუელია, რომელიც დროით რაგბიში ევროპის ერთა თასის გათამაშების გადამწყვეტ შერკინებას ემთხვევა საქართველოსა და რუმინეთის ეროვნულ ნაკრებთა შორის, თორემ საზოგადოებრივი მაუწყებლით პირდაპირი ტელეტრანსლაციის პატივსაც დაიმსახურებდა.

შეგახსენებთ, რომ ლევან მოსეშვილის შეგირდები ქუთაისელებთან სადებიუტო მატჩის წაგების შემდეგ უდანაკარგოდ ასპარეზობენ, თუმცა ყველაზე უფრო ძალიან მიზნის მიღწევა, ეროვნული თასის გათამაშების მსგავსად, სწორედ ნუგზარ ჭეიშვილის კრებულთან გაუჭირდათ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სტუდენტებსაც და არმიელებსაც მრავალრიცხოვანი ქომაგები უწევენ ტონუსს.

**„სასოფლო“ — „ქუთაისი“**

იმას, რომ აღნიშნულ ბრძოლას ინტრიგა გააჩნია, შემდეგი ფაქტი ადასტურებს: აგრარიკოსებმა წინა ტურში ტოლი არ დაუდეს არმიელებს, ხოლო რიონისპირელთა კაპიტანმა კვიმსაძემ სეზონის ახალი რეკორდი დაამყარა და სამმაგი დუბლი შეასრულა.

**„სამედიცინო“ — „დინამო“**

ესაა კალენდრით გათვალისწინებული ერთადერთი ხვალინდელი თამაში, რომლის გამარჯვებულის გამოცნობაც ადვილად შეიძლება. ესაა მედიკოსთა კლუბი. როგორც იცით, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს სოლიდური სპონსორი გამოუჩნდათ. გვჯერა, რომ იგი კალათბურთელებზეც იზრუნებს, რომლებიც შეუფერებელ ბოლო ადგილზე არიან.

**გიორგი შოთაძე**

ფეხბურთი

# განსხვავებული პარალელები

**„ბარსელონა“ — „არსენალის“ საპასუხო მატჩის შეფასებისას სტუმართა მარცხის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ფრანგი თავკაცის არსენ ვენგერის მიერ საკუთარი ტექნიკური კრედოს ღალატი მივიჩნიეთ.**



ოთხშაბათის რაუნდში ჩვეულ შემტევ სტილზე უარი ჰარი რედნაპის დამოძღვრილმა „ტოტენჰემმაც“ თქვა, მაგრამ მეოთხედფინალში მაინც გავიდა — 0:0 (პირველი შეხვედრა — 1:0). მაინც, რაშია საქმე?

პასუხი უმარტივესია: მეტოქეთა საშემსრულებლო ოსტატობაში. უფრო კონკრეტულნი თუ ვიქნებით, „მეთოფეთა“ დაუძლეველი კატალონიური წინაღობა რამდენიმე წელიწადია, შიშის ზარს სცემს ყველას და მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონის ესპანეთის ნაკრების საბაზო კლუბია, „როსონერი“ კი, ასევე ომახიანი გვარების სიჭარბის მიუხედავად, პენსიონერთა თავშესაფრადაა ქცეული (მაგალითად: აბიატი, ნესტა, ზეედორფი, იანკულოვსკი, აღარაფერს ვამბობთ ტრავმირებულებზე და დისკვალიფიცირებულებზე).



„დეზებიანი მამლების“ მწვრთნელმა თავს ისეთი ფუფუნების უფლება მისცა, როგორიცაა ახალგამოჯანმრთელებული გარეთ ბეილის სათადარიგოთა სკამზე დატოვება, მაგრამ ამით საერთო სურათი არ შეცვლილა — მასპინძლები კანონზომიერად გავიდნენ მორიგ ეტაპზე.

კენჭისყრის შემდეგ ფავორიტად მიჩნეული ლომბარდიელები მხოლოდ პირველ ნახევარში ფაფხურობდნენ და ორიოდე სახიფათო მომენტიც შექმნეს გომესის კართან, მაგრამ მაშინ, როცა გადამწყვეტ შტურმზე უნდა გადასულიყვნენ, საამისოდ აღარც ფიზიკური რესურსები შემორჩათ და აღარც ფსიქოლოგიური.

**„შალკე“ — „ვალენსია“ 3:1 (1:1).**

მასპინძელთა ლეგენდარულმა სნაიპერმა რაულმა ჩემპიონთა ლიგაში 140-ე მატჩი გამართა, რაც ახალი რეკორდია.

**ვიტალი ჯაფარიძე**

არჩევანი

# მარადონა — უკრაინის ნაკრების მწვრთნელი?



**დიახ, ლეგენდარული არგენტინელი დიეგო მარადონა მზადაა, სათავეში ჩაუდგეს ფეხბურთში უკრაინის ეროვნულ ნაკრებს.**

როგორც პრესა იტყობინება, არგენტინის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა უკვე დაიწყო უკრაინული ენის შესწავლა და აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს ამ ქვეყნის წარმომადგენლებთან.

თუმცა ამ მოლაპარაკების შესახებ ოფიციალურად არაფერს აცხადებენ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციაში.

ამჟამად უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ისევ იური კალიტვინცევი ასრულებს. ფიქრობდნენ, რომ მას შეცვლიდა იტალიელი მარჩელო ლიპი. ამ თანამდებობაზე კანდიდატებად სახელდებოდნენ სვენ-ერან ერიქსონი და ოლეგ ბლოხინი.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურში უკრაინა, როგორც ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძელი, არ მონაწილეობს.

უახლოეს მატჩს კი უკრაინის ნაკრები გამართავს 29 მარტს კიევში იტალიის ნაკრებთან.

**ლადო კახაძე**

ინტერნეტიდან

## ყალბი მესი?!

**ბრიტანულმა გამოცემამ The Sun „ადიდასის“ სპორტულ რეკლამაში აღმოაჩინა „ბარსელონას“ სახელოვანი თავდამსხმელის ლიონელ მესის დუბლიორი. როგორც გაზეთი წერს არგენტინელ ფეხბურთელთან ერთად რეკლამაში გადაღებულია ფიზკულტურის მასწავლებელი ჰუსეინ ისა.**

ჰუსეინი სახელოვან ფეხბურთელს მხოლოდ იმ კადრებში ცვლის, სადაც ფეხბურთელის სხეული უნდა გამოჩნდეს. „სასაცილოა, როდესაც მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანი ფიქრობს, რომ ის მესია, თუმცა ის მე ვარ, ჩვეულებრივი ესექსელი ჭაბუკი“. — აღიარა გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში დუბლიორმა.



ის ამიტომ სამი დღე ბარსელონაშიც კი ჩაფრინდა, მისი თქმით, მესი მუდამ ვერ ასწრებდა გადაღებების დამთავრებას მატჩების განრიგის გამო. გაზეთი იმასაც წერს, რომ ჰუსეინ ისა თამაშობს სამოყვარულო კლუბში. მისი ხელფასი კვირაში 80 გირვანქა სტერლინგია (129,7 დოლარი), 7 დღეში კი მესი ღებულობს 180 ათას გირვანქას (291,8 ათას დოლარს), ისიცაა ნათქვამი, რომ ფეხბურთელი ძალზე ბევრი ბრენდის რეკლამაში მონაწილეობს.

## 1,4 მილიონით გამდიდრდა

**ინგლისურ ეკსეტერში დოლზე ფსონად მხოლოდ 2 ევრო რომ ჩადო, 61 წლის ინჟინერმა სტივ უაიტლიმ ყველაზე დიდი თანხა — 1,4 მილიონი ევრო მოიგო.**

„ფინიშის ხაზის პირდაპირ ვიჯექი და ვერხვის ფოთოლივით ვცახცახებდი. აქამდე არ მჯერა, რომ მოვიგე! — ამბობს იღბლიანი სტივი, — არ ვიცი, როდის მოვალ აზრზე. მოთამაშე როდი ვარ. წელიწადში ერთი-ორჯერ ჩავდივარ ხოლმე ფსონს. პირველ რიგში ავსტრალიაში ვიმოგზაურებ“.



## მასზე გამუდმებით წერენ

**რუმინული პრესა, განსაკუთრებით კი ბულვარული გაზეთები, სისტემატურად წერს პოპულარული რუმინელი საფეხბურთო კლუბის „სტიაუას“ ყველაზე სექსუალურ გულშემატკივარზე ადინა ბარბუზე — ხან ვითომ რესტორანში გამოწვეულ აურზაურზე, ხანაც რაზე და რაზე.**

თუმცა ლამაზმანი განსაკუთრებით გააქტიურდა წლეულს. ამჯერად ქვეყანაში ყველაზე დიდი მკერდის მფლობელი მკითხველებს თავის ინტიმურ თავგადასავლებს უყვება. რასაკვირველია, პირველ რიგში სექსზე და მამაკაცებთან გატარებულ სენსაციურ დღეებზეც არაფერს მალავს.



# ნაბიჯი უკან?!

**თუმცა ყველას გვიხარია, რომ ფეხბურთში საქართველოს ნაკრებმა თემურ ქეცბაიას ხელმძღვანელობით წაუგებლად გაატარა მთელი წელი, ბოლოს კი სძლია სომხეთის ნაკრებს (2:1), მაგრამ ფიფას ახალ რეიტინგში წინსვლის ნაცვლად ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და 72-ე ადგილზე აღმოჩნდა. როგორც გამოირკვა, სარეიტინგო ცხრილში ჩვენმა უახლოესმა მეტოქეებმა თურმე ჩვენზე უკეთესად ითამაშეს, ჩვენზე მეტი სარეიტინგო ქულები დააგროვეს და ამით უკან დაგვწიეს.**

ახალ რეიტინგში პირველი ათეული ასე გამოიყურება: ესპანეთი, ჰოლანდია, გერმანია, არგენტინა, ბრაზილია, ინგლისი, ურუგვაი, ხორვატეთი, პორტუგალია, საბერძნეთი.

2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე შესარჩევი ტურნირის ქვეჯგუფში ჩვენი მეტოქეები რეიტინგში ასე განლაგდნენ: როგორც ნახეთ, ხორვატები და ბერძნები პირველ ათეულში არიან. 6 საფეხურით უკან დაიწია ისრაელმა და 58-ე ადგილზეა, ერთი საფეხურით წინ წაიწია ლატვიამ და 75-ე ადგილი დაიკავა, მთელი 7-ნაბიჯიანი ნახტომი გააკეთა წინ მალტის ნაკრებმა, თუმცა მხოლოდ 156-ე ადგილზეა.

ვნახოთ, რას მოგვიტანს საგაზაფხულოდ გამოცოცხლებული საფეხბურთო ცხოვრება!

**კახი გურული**

# თებერვლის სიმბოლური ნაკრები

**ევროპის სპორტული გამოცემების ასოციაციამ (ESM) ტრადიციულად ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატების შედეგების მიხედვით შეადგინა თებერვლის სიმბოლური ნაკრები. აი, ვინ შევიდნენ მასში: ვან დერ სარი** („მანჩესტერ იუნაიტედი“ — 3 ხმა), **დანიელ ალვეში** („ბარსელონა“ — 3), **ვიდიჩი** („მანჩესტერ იუნაიტედი“ — 8), **ჰუმელსი** („ბორუსია“ დ — 7), **ნური შახინი** („ბორუსია“ — 6), **უილ-შირი** („არსენალი“ — 5), **კრიშტიანუ რონალდუ** („რეალი“ — 4), **სანჩესი** („უდინეზე“ — 5), **მესი** („ბარსელონა“ — 8), **ვან პერსი** („არსენალი“ — 7), **რუნი** („მანჩესტერ იუნაიტედი“ — 6).

◉ მეგობრის წიგნი

**რა ვქნა – ვერ დავეთანხმები ქართული პოეზიის ლომს, სულმნათ გიორგი ლეონიძეს, სიჭაბუკე და ლექსი ერთიაო, რომ ამბობს... კი, ბატონო, სიჭაბუკეს ყველაფერი უხდება – უნაზესი სიყვარულით გულის აჩქროლებაც და იმ დალოცვილი პოეტური მუზის ძალუმად მოფრენაც, მაგრამ, რა ვქნათ თუ მუზა ცხოვრების ნაშუადღევსაც გესტუმრება?.. ჰოდა, რამდენი პოეტური თვალმარგალიტი შექმნილა ამ დროს!..**

# „კონცერტივით ბიჭების" თქმული...

...გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციაში ერთ ოთახში ვისხედით და, 70 წლის **გურამ გომართელი** – ჩვენი ძვირფასი კოლეგა, ძმა და მეგობარი, ჩემს თვალწინ „ეთამაშებოდა" პოეტურ სტრიქონებს – ვამჩნევდი, ვხედავდი, ხშირად „სხვაგან რომ დაფრინავდა", მერე კი ერთად ვარჩევდით მის ცინცხალ ლექსს...

პოეტური სულის ნიჭიერ კაცს ახალგაზრდობაშიც ბარე ორი კარგი ლექსი ჰქონდა შექმნილი, მაგრამ ეს „ოხერი" მუზა ახლა, ცხოვრების შემოდგომაზე ნამეტნავად მოსძალებოდა. მერე რამდენჯერმე დაბეჭდა კიდეც ამ მუზის ნაჟური „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე, წაიკითხეს მეგობრებმა, მოუწონეს, შეუქეს ლექსის ჯავარი და ამან, ცხადია, ახალი სუნთქვა შთაბერა სათქმელს. ლექსს ლექსი მიუმატა ჩვენმა „კოიამ", თვალსაწიერი გაიფართოვა და კვლავაც ახლობელ-მეგობრების რჩევით, აგერ, ახლახან, კოხტა პოეტური კრებულიც გამოსცა, რომელიც, თამამად ვიტყვი, სავსეა, მართლაც შესანიშნავი პოეტური სტრიქონებით.

რა თქმა უნდა, ოთხმოცი წლისათვის კვირაძალზე ლექსების პირველი წიგნი!..

ახლა კი, ძვირფასო მკითხველო, გადავშალოთ იგი – გურამ გომართელის – **„სიმღერამ გამაძლებინა"**.

რა თქმა უნდა, სწორედაც რომ ჩვენი გურამის ერთ-ერთ უახლოეს მეგობარს ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანს უნდა დაელოცა გზა „დამწყები" პოეტისთვის და აკი ამბობს კიდეც იგი კრებულის შესავალში: „ადრე პოეტად არ ვიცნობდი, მაგრამ სული პოეტური ჰქონდა და მისი ნიჭი და ბრწყინვალება, მამულიშვილობა და სიყვარული ღვთითმოვლენილი გახლდათ..."

ასეა თუ ისე, კრებულში „სიმღერამ გამაძლებინა" გურამ გომართელი – უამრავი ლხინისა და ჭირ-ვარამის გადამხდელი კაცი, რა თქმა უნდა, ამჯერად, ძალაუნებურად სევდიან სტრიქონებს




გვთავაზობს, გაფრენილ ლაღ ახალგაზრდობას და წლებით მოგვრილ უამრავ საფიქრალს გვიზიარებს:

**„ო, როგორ მიტევს თეთრი**
**სიბერე,**
**მემუქრება და მუშტებს**
**მილერებს,**
**მე დამადუმა, თვითონ**
**ღიღინებს,**
**საქვეყნოდ ჰყვება,**
**რასაც მიპირებს".**

ანდა, ეს მოვისმინოთ:

**„განწირულის ფერი დამდე,**
**მეგობრად გამიხდა დარდი,**
**კონცერტივით ბიჭი ვიყავ,**
**სხვისი შესაბრალი გავხდი".**

სევდით თენდება, სევდით ღამდება, სადღაა ის გურამი – თბილისქალაქის რჩეული, ავაზასავით შემართული მეგობრებისა და ახლობლების გარშემო მოტრიალე, ცხოვრებამ უამრავ ძვირფას ადამიანს რომ დააშორა, თითქოს კენტად დარჩა უძვირფასეს თბილის-ქალაქში:

**„მე ვენაცვალე ჩემ თბილისის**
**ზნედაცულ უბნებს,**
**ყველას თავისი ეშხი აქვს და**
**თავისი ხიბლი,**
**ბევრი თავის ჭირს, თავის**
**ვარამს უჩუმრად უძლებს,**
**და თუ ნაღდი ხარ, ამ**
**ქალაქში თამამად ივლი".**

ხომ ნაღდი თბილისელია, თავისი ცხოვრების წესით, ნაღდი ქალაქელია, აბა, მე რომ „შინაგანი" გურამი ვიცი, როგორ შეიძლებოდა ამ კრებულში თავისი ძირისა და ფესვის, თავისი საჩხერისა და გორისის სილამაზე არ გადმოეცა?..

**„გორისის სიცხემ**
**დამაოსა,**
**ჩრდილს ვეძებ**
**ჩოქვით,**
**ჩემო დაიკო,**
**მომაშველე**
**ჭის წყალი დოქით.**
**და ვისხამ ყელში,**
**ხარბად სითხეს,**
**სითხეს სასწაულს,**
**ამ ეზოს გარდა**
**არარსებულს,**
**მხოლოდ აქაურს.**
**წამით ვაჯობე**
**აუტანელ**
**ხვატს და ოხშივარს,**
**მადლობა უფალს,**
**ჩამოვედი,**
**მე ჩემ ქოხში ვარ!"**

კრებულში პოეტური სტრიქონებით გურამი „ხარკს უხდის" ყველას და ყველაფერს. წინაპარს, მეგობარს, ნაადრევად გარდაცვლილ დედამიშვილს, ახალგაზრდულ გატაცებას:

**„გულს მალამოდ მომდებია,**
**იმხნელების გალობა,**
**ისე, უცბად მომაგონდი,**
**დაკარგულო სალომკა!"**

...უბრალოა ეს სტრიქონები, ჩვენს უკვდავ, კლასიკურ პოეზიას ნაზიარევია, ნასეირნებია „სევდის ბაღში", სადაც ამ წუთისოფლის საფიქრალ-სადავიდარაბო გულზე გადაგვდის და ხვალინდელ დღეზე გვაფიქრებს.

ჰოდა, რა სჯობს წიგნს, რომელიც მომავალზე გვაფიქრებს, მეტადრე – ლექსებად თქმულს.

გილოცავთ, ჩვენო გურამ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ ჩვენი კარაბადინი

## კენკრული პროფილაქტიკა



**ხილისა და კენკროვანთა – ამ სასარგებლო ფლავინოიდების რეგულარული მიღება ამცირებს პარკინსონის დაავადების განვითარების რისკს, ამტკიცებენ ამერიკელი მეცნიერები.** ასეთი ურთიერთდამოკიდებულება შესამჩნევია მამაკაცებისთვის. მამაკაცები, რომლებიც უფრო ხშირად ღებულობდნენ ფლავონოიდებს კენკროვანებისაგან, განიცდიდნენ დაავადების რისკის შემცირებას 40 პროცენტით. ფლავონოიდები ცნობილია საერთო სახელწოდებით ვიტამინი P და ციტრინი. ისინი ბევრია აგრეთვე შოკოლადში, ამ ვიტამინით განსაკუთრებით მდიდარი გრეიპფრუტია.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ფლავონოიდებს აქვთ დაცვის ეფექტი ტვინის ნერვული უჯრედებისთვის.

## ბოსტნეულის და არა ხილისა

**ახლადგაწურული ბოსტნეულის წვენები გვეხმარება ვიქონიოთ საკუთარი წონა კონტროლს ქვეშ, ამტკიცებენ მეცნიერები კალიფორნიის უნივერსიტეტიდან.**

მოხალისეების დახმარებით მოწყობილმა ექსპერიმენტმა გამოავლინა წონის მნიშვნელოვანი დაკლება მსუქან ადამიანებში. თანაც თითოეული მათგანი ყოველდღიურად სვამდა თითო ჭიქა ბოსტნეულის წვენს. ორგანიზმი ღებულობდა აუცილებელ ნივთიერებას, მაგრამ სასმელის დაბალი კალორიულობის გამო წონის მომატება არ ხდებოდა.

აი ხილის წვენები კი, რომლებშიც ბევრი შაქარია, ხელს უწყობენ წონის მომატებას.

## ბედნიერება დიეტებში როდია



**გამოჩნდა ნერვული მოშლილობის ახალი სახეობა, რომელმაც მიიღო სახელწოდება ორთორექსია – ჯანსაღი საკვებისადმი მანიაკური სიყვარული, გვაფრთხილებენ ამერიკელი მეცნიერები.** სულ უფრო მეტი ადამიანი ამბობს უარს ცომეულზე, კარაქზე, საფუვრიან პროდუქტებზე, ალკოჰოლსა და კოფეინზე. მაგრამ, მიუხედავად დიეტოლოგების გაფრთხილების დაცვისა, ეს ხალხი ბედნიერად არ გამოიყურება. მათ ემართებათ დეპრესიები, უმწვავდებათ ქრონიკული დაავადებანი. სხვათა შორის, შოუ-ბიზნესის ვარსკვლავთა უმრავლესობა იტანჯება ორთორექსიისგან. ისინი სხედან მკაცრ დიეტაზე და ფანატურად დადიან ფიტნეს-დარბაზებში.

## გვეკითხებიან – ვუპასუხებთ

**მაქვს ღვიძლის კისტა. რისგან არის ეს? შეიძლება ვიტამინების დალევა?**

**გ. ჩიხლაძე, სენაკი**

– კისტები უმთავრესად დაბადებიდან მოგვყვება. თქვენ გჭირდებათ დიფერენციული დიაგნოსტიკა, კერძოდ, პარაზიტული ინფექციის გამოსავლინებლად. ექიმი განსაზღვრავს კისტის ეტიოლოგიას (წარმომავლობასძ. ვიტამინების მიღების საწინააღმდეგო მაჩვენებლები არ არის.

# ცვლილება განცხადებაში აუქციონის ჩატარების შესახებ

**სს „ელმავალმშენებელს" შეაქვს ცვლილება 2011 წლის 9 მარტს გამოცხადებულ აუქციონში:**

➢ **ლოტი №1 – სპილენძი:**

**სუფთა ჯართი** – 3200 კგ. - 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 8800 აშშ დოლარს (ეკვივალენტი ლარებში) დღგ-ს გარეშე;

**ბურბუშელა** – 361 კგ. – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 7315 აშშ დოლარს (ეკვივალენტი ლარებში) დღგ-ს გარეშე;

**წევის ძრავების იზოლირებული კოლექტორი** – 1575 კგ. – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 6362 აშშ დოლარს (ეკვივალენტი ლარებში) დღგ-ს გარეშე;

**ძრავების იზოლირებული გრაგნილები** - 6500 კგ. – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 6207 აშშ დოლარს (ეკვივალენტი ლარებში) დღგ-ს გარეშე;

**სხვადასხვა იზოლირებული სადენები (1.5÷185 მმ²)** – 7925 კგ. – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 4389 აშშ დოლარს (ეკვივალენტი ლარებში) დღგ-ს გარეშე.

➢ **ლოტი №2 – თითბერი:**

**თითბერი** – 1300 კგ. – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 4125 აშშ დოლარს (ეკვივალენტი ლარებში) დღგ-ს გარეშე.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბე", რომელიც წაგების შემთხვევაში დაუბრუნდება უკან (ლოტის №1 საერთო საწყისი ღირებულების, 115949.19 დოლარი დღგ-ს გარეშე, 10% – 11594.919 დოლარი და ლოტის №2 საერთო საწყისი ღირებულების, 5362.5 აშშ დოლარი დღგ-ს გარეშე, 10% – 536.25 დოლარი (ეკვივალენტი ლარებში) დღგ-ს გარეშე), შემდეგ რეკვიზიტებზე: სს „საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: BAGAGE22, სს „ელმავალმშენებელი", ანგარიშის ნომერი GEL: 340698102000103300000, ანგარიშის ნომერი USD: 341684002000103300000

**სს „ელმავალმშენებელის" მუდმივმოქმედი სატენდერო და სააუქციონო კომისია**

**ლევან მგალობლიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოხატავს**

**ბეგლარ მახარაშვილის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.**

ნომრის კარიკატურა



**რეკლამა** **გ. ახვლედიანის ქ. №19.**

**„საქართველოს რესპუბლიკაში"**

**99-62-77; 899 32-85-76.**

◉ ჩვენი კარაბადინი

# დედა ჩემია! არა, ჩემია!

**იმ მშობლებმა, ვისაც ოჯახში რამდენიმე ბავშვი ჰყავს, იციან, თუ რა არის ბავშვების ეჭვიანობა. მთლიანად მისი თავიდან აცილება არ გამოდის. თუმცა შეიძლება მისი გამოვლენის შემსუბუქება.**



**ვალდებული იქისროს დედის ფუნქციები. უმჯობესია ყველაფრის ერთად გაკეთება. ასე უფროსს უფრო ადრე გაუჩნდება სურვილი გახდეს პატარის მფარველი დიდის პოზიციიდან.**

წაახალისეთ სიყვარულის გამოვლინება პატარის მიმართ. ხოლო თუ გეშინიათ პატარის გამო, ასწავლეთ უფროსს გამოხატოს თავისი სიყვარული უსაფრთხოდ: მაგალითად, გაუგზავნოს ჰაეროვანი კოცნები ანდა ფრთხილად უსვას ხელი ახალშობილის ტერფებზე.

ნუ იჩქარებთ პატარისთვის იმ საალერსო ზედმეტსახელების დაძახებას, რომლებიც ადრე უფროსს ეკუთვნოდა: „პატარავ“, „ჩემო ყვავილო“, „ფისო-ფისო“. პატარისთვის სხვა ახალი მოფერებანი მოიფიქრეთ.

## ველოდებით ძამიკოს

**თუ მეორე ბავშვს ელოდებით, დაიწყეთ უფროსის მომზადება უმცროსი ძამიკოს ან დაიკოს გამოჩენისთვის წინასწარ. უამბეთ, როგორ გამოიყურება ახალშობილი.** უჩვენეთ თქვენს პირმშოს ფოტოები, სადაც თავად იყო პატარა, შემდეგ კი იზრდებოდა და სწავლობდა ჯდომას, სიარულს... აუხსენით, რა დიდ ყურადღებას უთმოდით მას, როდესაც სრულიად უსუსური იყო, ასწავლიდით რაღაც-რაღაცებს... ახლა კი თქვენ ერთად ასწავლით ყოველივე ამას მის ძმას ან დას. ჩამოუყალიბეთ უფროსს პოზიტიური დამოკიდებულება ძმის ან დის გაჩენასთან დაკავშირებით, და ისიც თანდათან შეეჩვევა მომავალ ცვლილებას თავის ცხოვრებაში.

## მთავარი — წინდების მიხედვით

**და აი, პატარაც მოიყვანეს სამშობიაროდან. მას ბევრი ყურადღება სჭირდება. აუხსენით ეს თქვენს უფროს შვილს, უთხარით, თუ რა სჭირდება პატარას და რატომ. სთხოვეთ დაგეხმაროს. მიეცით მას დავალება, რომელიც მხოლოდ მან უნდა შეასრულოს. მაგალითად, შეარჩიოს რომელი წინდები მისცეს პატარას ჩასაცმელად, ანდა უამბოს მას ზღაპარი ძილის წინ. მაგრამ უფროს შვილს ნუ აიძულებთ იყოს „ძიძა“. ის სულაც არ არის**

უფროსი ბავშვისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მის ტერიტორიას, მისი ნივთებისადმი პატივისცემას. ამიტომ ნუ მისცემთ პატარას მხოლოდ იმ სათამაშოებს, „რომლებზეც უფროსი უკვე გაიზარდა“ და რომლებიც მას უკვე აღარ აინტერესებს. მოუწყვეთ უფროსს პერსონალური კუთხე, კარადა, რომლებთანაც ვერავინ მივა (მათ შორის პატარაც) პატრონის ნებართვის გარეშე.

შეეცადეთ, რომ პატარის გამოჩენამ არ გამოიწვიოს იმ რიტუალების დარღვევა, რომლებიც უკვე ჩამოყალიბდა ოჯახში. თუ ადრე პირმშოს ძილის წინ ყოველთვის უყვებოდით ზღაპარს, შეინარჩუნეთ ეს წესი.

ეჭვი ბავშვებში შეიძლება გამოიწვიოს უფროსების (ბებიის, ბაბუის, ბიძის, დეიდის და ა.შ.) უნებლიე ყურადღებამ ახალშობილისადმი. პერიოდულად უთხარით უფროსს, რომ ის გიყვართ, დიდი დრო დაუთმეთ მასთან ყოფნას, გააკეთეთ ეს რეგულარულად.

## უფროსის უპირატესობა

**თქვენი პირმშოს ყურადღება მიაპყარით მის უპირატესობებსა და პრივილეგიებს: მას შეუძლია ირბინოს, ილაპარაკოს, ითამაშოს „დიდების“ სათამაშოებით, ჭამოს ნაყინი, უყუროს მულტიპლიკაციურ ფილმებს... მისი უმცროსი ძმისთვის (დისთვის) ეს ჯერ მიუწვდომელია.** მაგრამ არ გადაღუნოთ ჯოხი, პატარაზე ხომ უფრო მეტად ზრუნავენ, მას მეტად ეფერებიან. უფროსი ამას ხედავს და ხშირად მიაჩნია, რომ უფრო პატარა რომ იყოს, ასევე მის მიმართ მეტ ყურადღებას გამოიჩენენ. მიეცით ზოგჯერ უფროსს იმის ნებაც, რომ იყოს პატარა, ისიც ხომ ჯერ ისევ პატარაა. ასწავლეთ მოთმინება და პატარა ძმის (დის) სიყვარული თანდათანობით.

სასარგებლოა ვილაპარაკოთ პატარაზე, როგორც ადამიანზე, რომელიც ეკუთვნის თქვენს უფროსს: „რა კარგი და ჰყავს ჩვენს კოტიკოს“. ადრე თუ გვიან უნდა გაიმარჯვოს კანონიერმა სიამაყემ და ბავშვი იგრძნობს, რომ ეს არა მხოლოდ დედიკოს ბიჭუნაა ან გოგონა, არამედ მისი დაც ან ძმაც.

დაიცავით მტკიცე წესი, თუ როგორ უნდა მოიქცეთ ან არ უნდა მოიქცეთ, ალკვეთეთ აგრესიის ზედმეტი გამოვლინება როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. შეიძლება უთხრათ თქვენს სამი თვის ბავშვს: „ნუ ქაჩავ თმებს შენ დაიკოს (ძამიკოს). ხომ ეტკინება!“ (უფროსი მიხვდება, რომ თქვენ მასზე ფიქრობთ და ღელავთ), პატივი ეცით ყველა ბავშვის საკუთრებასა და ინტერესებს. უფროსს უთხარით რაიმე ამის მაგვარი: „მე პატარას ავუკრძალე, რომ რაიმე გაწყვიტოს, შენც ნურაფერს აწყენინებ მას!“

**ყველაზე დიდი შეცდომაა — ბავშვების ერთმანეთთან შედარება და გამორჩეულის გამოყოფა.**

და რაც ყველაზე მთავარია — შეუნარჩუნეთ ბავშვებს იმის რწმენა, რომ თქვენ ისინი გიყვართ. ხოლო რომელი ხერხი უკეთ გამოგადგებათ თქვენს ოჯახში, ამას საკუთარივე გამოცდილება გიჩვენებთ. ეცადეთ აუხსნათ უფროსს, რომ კიდევ ერთი პატარის გამოჩენით იბადება მეორე სიყვარულიც და არ არის საჭირო ერთის ყველაზე გაყოფა.

**რუსუდან ალადაშვილი**

### სხვათა შორის

**თუ გადაწყვიტეთ უფროსი მიიყვანოთ საბავშვო ბაღში, გადაიყვანოთ ის სხვა ოთახში... უკეთესია. ეს გააკეთოთ რამდენიმე თვით ადრე პატარის გაჩენამდე. უფროსის ცხოვრებაში ნებისმიერი ცვლილება, რაც უნდა მოხდეს უმცროსი ბავშვის გამოჩენასთან დაკავშირებით, უნდა გაკეთდეს ნაკლებად შესამჩნევად.**

### უნდა ვიცოდეთ

**ბავშვურმა ეჭვიანობამ შეიძლება სხვადასხვაგვარი ფორმა მიიღოს. ყველაზე გავრცელებულია:**

- აგრესია, რომელიც მიმართულია უმცროსი ძმის ან დის წინააღმდეგ: სურვილი — რაღაცა აწყენინოს, რაღაცა წაართვას;
- შეშფოთება: ცუდი ძილი, სირთულეები გაღვიძებასთან დაკავშირებით, ცუდი მადა, ადრეული ბავშვობის კვლავ გაჩენილი შიში;
- გაზრდილი აქტიურობა — ერთ ადგილზე ვერ ჩერდება, ვერ ახდენს რაიმე ერთ მეცადინეობაზე კონცენტრირებას;
- კაპრიზები: უარის თქმა საჭმელზე, ურთიერთობაზე, ძილზე, საბავშვო ბაღში წასვლაზე;
- ნევროტიკული რეაქციები: წიკი, ენაბორძიკობა, ისტერია;
- ხშირი შეუძლოდ ყოფნა, გაცივება;
- სკოლაში მოსწრებულობის დაქვეითება.

◉ ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

**● XIX საუკუნის დასაწყისში სასულიერო ცენზურამ აკრძალა წიგნი „მავნებელი სოკოები“, რადგან სოკო სამარხვო საჭმელია და მის სიკეთეში ეჭვი არ უნდა შეგეპაროს.**

**● ისრაელის ქნესეთის არჩევნებში ერთხელ „ოჯახში მამაკაცთა უფლებების დაცვის მოძრაობა“ იყრიდა კენჭს.**

**● გაიუს ცილნიუს მეცენატი იმპერატორ ავგუსტუსის მეგობარი და საიმპერატორო კართან დაახლოებული პირი იყო. მან სახელი გაითქვა როგორც მეცნიერების, ხელოვნების მფარველმა და ქომაგმა. მისი შეგონებით დაწერა ვერგილიუსმა „ენეიდა“.**

**● ჩინეთში ყველაზე გავრცელებულია თვალის ჭრილის პლასტიკური ოპერაცია.**

**● მილა იოვოვიჩი კიევშია დაბადებული და მისი ნამდვილი სახელი და გვარია — მილიცა ნატაშა იოვოვიჩი.**

**● მაკედონური დინასტია მხედართმთავარ ანტიპატრის ვაჟმა, მოგვიანებით მაკედონიის მეფე კასანდრემ ამოწყვიტა ძვ.წ. 309 წელს. მან ჯერ ალექსანდრე მაკედონელის დედა მოაკვლევინა, რამდენიმე წლის შემდეგ კი ალექსანდრეს ცოლ-შვილი — როქსანა და 14 წლის ალექსანდრე.**

**● ავსტრალიისა და ახალი კალედონიის აბორიგენებმა არ იცოდნენ, რა იყო მშვილდ-ისარი.**

**● პირველად დედამიწას გარშემო შემოუარა ბასკმა ზღვაოსანმა ხუან სებასტიან ელკანომ, რისთვისაც კარლოს I-მა უბოძა პირადი გერბი ლათინური წარწერით primus circumdedisti me („პირველად შენ შემომიარე დედამიწის გარშემო“), მაგრამ რატომღაც ჩვენ ამას სულ სხვა პიროვნებას მივაწერთ.**

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

— ჩემს სიცოცხლეში არასოდეს შემიგინებია, გინება საერთოდ არ ვიცი, — წუხს ბიჭიკია.

— „ზაპოროჟეცი“ იყიდე, — ასწავლა ჭიჭიკიამ.

— ეგ რა შუაშია?

— დაქოქვის დროს ისწავლი.

* * *

გურულის ჭიშკართან ჩემოდნიანი კაცი ჩერდება:

— მაინძელო! — გამოიხედა გურულმა, — შორსაა რკინიგზის სადგურამდე? — ეკითხება ჩემოდნიანი.

— იქნება ასე 7-8 კილომეტრი.

— აუუ! — შეწუხდა მგზავრი, — 15 წუთში მატარებელი გავა და აწი რაღას მივასწრებ!



— მეიცა, ძაღლს ოუშვებ და 10 წუთში ქე მიხვალ...

ახალი კახელი ფეხის ხმას აჰყვა და პატარა ბავშვს ძიძა დაუქირავა.

— მისმინე, გოო... ბალღ რო აბანავებ, წყალ როგორ ანელებ? — ეკითხება ძიძას.

— ეგ ადვილია, ორი ვედრო მიდგა ტაშტთან, ცხელი წყლითა და ცივი წყლითა.

— მერე?

— ჰოოდა, თუ ბალღი გაწითლდება, ზნაჩიტ ცივი წყალი უნდა დავამატო, თუ გალურჯდა — ცხელი.

* * *

— რავაა საქმე ქუთაისში?

— რავარც შოტლანდიაში, სიმონ.

— მაგი რაფერაა?

— ნახევარს კაბა აცვია, მარა რად გინდა, ლოგინში არ გიწვება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძუაშვილი 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.